940
1967

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# პიონერი

2
1967

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ასე ამბობს საქართველო

**აკაკი გეწაძე.**

მე ცის ქვეშ გავჩნდი დიდი ხნის წინათ,
ბრძოლით მოვყვები დრო-ჟამის სრბოლას.
ჩემს სულში წივის ისრების წვიმა
და უამრავი ხანძარი ბოლავს.
რამდენი ღამე მოვიდა შავი
და ვერ ჩამიქრო სულის ნათელი,
ვერ დამიმსხვრია იმედის ნავი
და კვლავ ქართველად დარჩა ქართველი.
ხშირად გუთანი მეპყრა მახვილად,
მქონდა ვაებით სავსე თვალები.
რაც ჩემს მიწაზე ცრემლი დაღვრილა,—
ამომიშვრია მზის მხურვალებით.
მომშორდა სისხლის დელგმა და თქეში,
მომშორდა ცრემლი, ყინვა და თოში.
მზე მომეახლა თებერვლის თვეში,
მზე მომეახლა ლენინის დროშით.
კვლავ ცოცხლობს ჩემი თმოგვი, ვარძია,
ჩემი თბილისი, გორი და მცხეთა.
ღრუბელი ძაძად აღარ მაცვია
და ჩემი მთები მღერიან ერთად.
თუმცა უზომო სისხლი დავღვარე,
ამ ბრძოლებს ფუჭად არ ჩაუვლია,
დღეს ჩემი სულის ვრცელი ბაღნარი
უამრავი მზით დახუნძლულია.
ასე მგონია: ეს იყო გუშინ,
ამირანი რომ დევებს შეება.
დღეს ათასი მზე მინთია გულში,
ჩემი ფიქრები ბრწყინავს მზეებად.
მზით მოჩახჩახე მომავალს ვხედავ,
გამნათებია დღესავით ღამეც,
მე ვარ უკვდავი რუსთველის დედა
და უკვდავებას მიგალობს ჟამი.
მზის საგალობელს ვმღეროდი ომშიც,
დღეს მზით მაქვს სავსე გული და პეშვი.
მზე მომეახლა ლენინის დროშით,
მზე მომეახლა თებერვლის თვეში.

მხატვარი
ვაჟა
მელიქიშვილი.



**თეღორა შავიშვილი**



# როცა მზე ამოდიოდა...

XIX საუკუნის მიწურული... გურია. სოფელი ლიხაური. ღარიბი გლეხის კარ-მიდამო. ეზოში პატარა რუ მოედინება... დამსვა რუს ნაპირას დედაჩემმა შვიდი-რვა წლის ბიჭი, ჩამაყოფინა ფეხები წყალში, დამიდო მუხლებზე იაკობ გოგებაშვილის „დედაენა“, გამაყოლებინა საჩვენებელი თითი სტრიქონებზე და მიმარცვლავს: აი, ია...

რუში ფეხების ჩაყოფა, თურმე, იმას ნიშნავდა, რომ წყალივით ჩქარი კითხვა მეცოდინებოდა. გავუმართლე კიდეც საყვარელ დედას, სავსებით გავუმართლე, ოღონდ არა რუში ფეხების ჩაყოფის შედეგად, არამედ იმით, რომ ფეხებზე ათი წელიწადი რკინის ბორკილები მედო მეფის საპყრობილეში და იქ დაუზარებლად ვკითხულობდი წიგნებს!...

წელიწადნახევარი დავყავი იმ ხანებში გახსნილ ლიხაურის სამრევლო სკოლაში. აღარ აუთავდა მამაჩემს ჩვარში გამოსკვნილი სპილენძის გროშები სწავლის ფულად და დამთხოვა სკოლას...

ეს იყო 1904 წელს. დილის საათებში მოადგა მატარებელი თბილისის სადგურს.

აჩქარებით გადმოვედით ვაგონიდან მამაჩემი და მე. მოედანზე ვხედავ ქოხისმაგვარ, ძველ, დაბალ სახლებს, მოფუსფუსე ხალხს, ორცხენიან კონკას... აქეთ-იქით ვაცეცებ თვალებს გაოცებული სოფლელი ბიჭი. ბედის საძიებლად თბილისში ჩამოსული — დავბინავდი ჩემს დასთან. მალე მოვეწყვე კერძო სტამბაში შეგირდად. იქ ბოლშევიკების არალეგალური წრე ეწეოდა რევოლუციურ მუშაობას; ჩვენც მეც — ვავრცელებდი პროკლამაციებს, ვმონაწილეობდი პოლიტიკურ დემონსტრაციებში...

გაფიცვებმა და პოლიტიკურმა დემონსტრაციებმა მასიური ხასიათი მიიღო. განსაკუთრებით აქტიურობდნენ სტამბებისა და რკინიგზის მთავარი სახელოსნოს მუშები. მახსოვს, კვირა დღე იყო. კვირაობით არ მუშაობდნენ, მაგრამ წინა დღით უფროსმა ამხანაგებმა გამაფრთხილეს — დილით მივსულიყავი სტამბაში. სხვა სტამბებიდანაც მოვიდნენ, ზოგი ნაცნობი, ზოგი უცნობი. ახალგაზრდებს მოგვცეს თითო შეკვრა პროკლამაცია და გვითხრეს, როდესაც დემონსტრაცია დაიწყება, ხალხში მიმოფანტეთო. შუადღისას, გოლოვინის პროსპექტზე, ჩვენი სტამბის წინ, ერთბაშად მოგროვდა ხალხი. ოპერის თეატრის შენობასთან წითელი დროშა აფრიალეს. მალე შიშველი ხმლებით პოლიციელები შემოიჭრნენ დემონსტრანტებში. შეტაკება რამდენიმე წუთს გაგრძელდა. ბევრი დაჭრეს, ბევრიც დააპატიმრეს. დაჭრილ-დაპატიმრებულთა შორის უმთავრესად 17-18 წლის ახალგაზრდები იყვნენ.

მალე მე პეტერბურგს გამგზავრება მომიხდა. ოქტომბრის მანიფესტმა დონის როსტოვში მომისწრო. მასიური პოლიტიკური გაფიცვების გამო, მატარებლების მოძრაობა შეჩერდა. მთელი როსტოვი ზეიმობდა. მე პირველსავე დღეს შევუერთდი რკინიგზის მუშებს, გავიცანი ჯავშნოსან „პოტიომკინის“ აჯანყების მონაწილე მატროსები, — რუდინი და ატაევი, რომლებთანაც შემდეგ ყუბანის მხარეში მომიხდა მუშაობა. პეტერბურგის ქუჩები ღელავდა. მანამდე მთლიანად ჩახშობილმა თავისუფალმა სიტყვამ მძლავრად იქუხა 1905 წლის რევოლუციურ დღეებში.

პიონერი
3 · თებერვალი · 1967

10.379



თედორე
შავიშვილი



თ. შავიშვილი (შუაში)
ეკატერინოდარის
ციხეში 1910 წ.

პეტერბურგში, გოროხოვის ქუჩაზე, რესტორანი „გურია" იყო, სადაც ჩემი სიძე დავითი მუშაობდა. ამ რესტორნის ხშირი სტუმრები იყვნენ გამომცემლობა „ამირანის" მუშაკები. მათ რესტორანში მოჰქონდათ დასტობით პროკლამაციები და რევოლუციური ბროშურები. 1906 წლის იანვრის შუა რიცხვებში პოლიციამ რესტორანში აღმოაჩინა პროკლამაციები. ამის გამო, ჩემი სიძე იძულებული გახდა გაქცეულიყო პეტერბურგიდან. მასთან ერთად მეც წამოვედი. თან ერთი ჩემოდანი რევოლუციური ბროშურები და ჟურნალ-გაზეთები წამოვიღე.

მუშათა რევოლუციური მოძრაობის მძლავრმა ტალღამ ყუბანის ოლქში გადამისროლა. 1906 წლის ზაფხულის დასასრულს არმავირში ვარ. იქ გავიცანი უშიშარი რევოლუციონერები ტროფიმ ზოლკინი, სერგეი სტეპანოვი, ივანე ზახოვაევი და სხვები, დავუახლოვდი მებრძოლი რაზმის წევრებს. როგორც ასოთამწყობი, მალე ჩამაბეს არალეგალური სტამბის მუშაობაში.

მაშინ ეს საქმე პრიმიტიულად იყო დაყენებული. ბეჭდვის საქმე მხოლოდ 1907 წლის ზაფხულში მოგვარდა, როცა ჩვენ, მებრძოლი რაზმის წევრებმა, კერძო სტამბიდან გავიტაცეთ საბეჭდი მანქანა. საიდუმლო სტამბა მოვაწყეთ ქალაქის განაპირა უბანში. ამ სტამბაში დაიბეჭდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის პროგრამა, რომლის ერთი ეგზემპლარი კრასნოდარის არქივში ინახება.

1907 წლის 7 აგვისტოს რევოლუციონერებმა თავიდან მოიცილეს ცარიზმის სისხლიანი ჯალათი პოლკოვნიკი კრავჩენკო. ამის შემდეგ კიდევ უფრო გახშირდა შენიშნული პირების ჩხრეკა-დაპატიმრება. შექმნილი მდგომარეობის გამო, მე და ზოლკინი უნდა გავცლოდით არმავირს. რამდენიმე ხანს ერთ სტანიცაში ვაფარებდით თავს, მერე იქიდან მაიკოპში გადავედით. იძალა რეაქციამ, ეკატერინოდარის საოლქო ციხე პოლიტიკური პატიმრებით გაივსო, რომელთა შორის, სოჭის, ნოვოროსიისკისა და ყუბანის ოლქის აჯანყების მონაწილენიც იყვნენ. დაიბადა აზრი — შეიარაღებული თავდასხმით გაგვეთავისუფლებინა ისინი ციხიდან. ამ საკითხზე ეკატერინოდარში მოიწვიეს ნოვოროსიისკის, სტავროპოლისა და ყუბანის მებრძოლი რაზმების წარმომადგენლები. პარასკევს, 1907 წლის 12 ოქტომბერს, დილით ადრე ჩავედი ეკატერინოდარში და სასტუმრო „ნიუ-იორკში" მივედი, სადაც წინა დღით წასული ამხანაგები მეგულებოდნენ. ჩემი ამხანაგები უკვე დაეპატიმრებინათ. პოლიციელებმა დამაპატიმრეს მეც.

1907 წლის ოქტომბრის მიწურული იყო, როცა ეკატერინოდარის საოლქო ციხეში მიმიყვანეს. მომათავსეს მეცამეტე საკანში, სადაც გამოჩენილი რევოლუციონერები ყორლანოვი, ბიჩკოვი, შუმაკოვი, ზოლკინი, ალდონოვი, ჯავშნოსან „პოტიომკინის" მეზღვაურები — ატაევი, რუდინი და სხვები იყვნენ. ტროფიმ ზოლკინს, რომელიც მე უკვე მოვიხსენიე, სიკვდილის განაჩენი გამოუტანეს, მაგრამ შემდეგ სასჯელი ოცი წლის კატორღით შეუცვალეს. იგი ცარიზმის დამხობას მოესწრო. მონაწილეობდა სამოქალაქო ომში. სხვათაშორის, 1929 წელს ზოლკინი მწერდა: „ძალიან გამახარა შენმა წერილმა. კმაყოფილებით ვიგონებ გასული წლების სასტიკ ბრძოლებს, ციხიდან ციხეში წანწალს და ვამაყობ იმით, რომ ჩვენმა ბრძოლამ ამაოდ არ ჩაიარა. რომ ჩვენმა იდეამ გაიმარჯვა".

...სამ წელს გრძელდებოდა გამოძიება. 1910 წლის 13 სექტემბერს საოლქო სამხედრო სასამართლომ 15 წლის კატორღა მომისაჯა. სასჯელს ვიხდიდი ვოლოგდის, ხარკოვის, შლისელბურგის საკატორღო ჯურღმულებში, მოსკოვის „ბუტირკაში", პეტერბურგის „კრესტში".

იდგა 1915 წლის გაზაფხული. მსოფლიო ომი მთელი სისასტიკით მძვინვარებდა. მისმა გამოძახილმა ხარკოვის საკატორღო ციხის ჯურღმულებშიაც შემოაღწია. რკინის ბორკილებში ჩაჭედილი მე და ჩემი ამხანაგები ფიქრით გარეთ ვიყავით, გვწყუროდა ბრძოლა და თავისუფლება. ერთ დღეს, როდესაც საკნებში „დილის შემოწმება" დასრულდა, გამომიცხადეს, რომ შლისელბურგის საკატორღო ციხეში გადავყავდით გაძლიერებული ბადრაგით.

ზამთარია. ლადოგის ტბა ყინულს დაუფარავს. ნევის სათავესთან პატარა კუნძულია, კუნძულზე დიდი საპატიმრო—შლისელბურგის ციხეა. ციხეში 960-მდე პატიმარია, მაგრამ სრული სიჩუმე სუფევს. მხოლოდ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხანდახან გაისმის პატიმართა ფეხებზე დადებული ბორკილების ჩხარუნი.

მე პირველად აქ, შლისელბურგის ციხეში, შევხვდი სერგო ორჯონიკიძეს, რომელიც კატორღის ვადის გასვლის შემდეგ საეტაპო წესით გაგზავნეს უვადო გადასახლებაში, შორეული ციმბირის მივარდნილ ადგილას, სადაც მას თებერვლის რევოლუციამ მოუსწრო.

1917 წლის 28 თებერვალს საპატიმროს კანტორაში გამოუძახეს უშიშარ ბოლშევიკებს იუსტინე ქუკსა და მიხეილ მალაშკინს. ეს ჩვეულებრივი მოვლენაა ციხის ცხოვრებაში. ყველანი მოუთმენლად ველოდებით მეგობრების დაბრუნებას. და აი, ქუკი და მალაშკინი ბრუნდებიან კანტორიდან. ქუკი გაფითრებულია:

— თავისუფლება, ამხანაგებო, რევოლუცია!

ზემო სართულში ავცვივდით. ვხედავთ — ციხეს ზღვა ხალხი ახვევია. წითელი დროშები ფრიალებენ. იგრიალა მარსელიოზამ. გაიღო მძიმედ ნაჭედი ციხის კარები... დაუყოვნებლივ შევქმენით საბრძოლო რევოლუციური რაზმი. რაზმის წევრებმა განვაიარაღეთ პოლიცია და, „რუსული ბასტილია“ — შლისელბურგის ციხე — ცეცხლის ალში გაეხვია...

...გული პეტროგრადისაკენ მიმიწევდა. პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოში იუსტინე ქუკი და მე შევხვდით დიდ ლენინს. ქუკმა მას ხელი ჩამოართვა და შლისელბურგის ქარხნების მუშათა მიმართვა გადასცა წასაკითხად. მეგონა, ჯერ ნახევარიც არ ჰქონდა წაკითხული, რომ კითხვა დაასრულა. მერე ისევ დახედა მიმართვის მეექვსე პუნქტს და ხმამაღლა ამოიკითხა: „ვრემენნოე ბურჟუაზნო-არისტოკრატიჩესკოე პრავიტელსტვო“. დიდმა ლენინმა ეს სიტყვები ისეთი ირონიით წარმოთქვა, რომ გულიანად გამეცინა. ვლადიმერ ილიას ძემ გადმომხედა. ქუკმა უთხრა:

— ვლადიმერ ილიჩ, ესეც ყოფილი შლისელბურგელია. ლენინმა ამხედ-დამხედა და ხელი ჩამომართვა:

— ყოჩაღ, შლისელბურგელებო! თქვენს შესახებ ცოფმორეული გაჰკივის ბურჟუაზიული პრესა...

...ეს იყო 1917 წლის აპრილში, ჩემო პატარა მეგობრებო! ვინც ახლა ამ პატარა მოგონებას კითხულობს, უსათუოდ დაფიქრდება იმაზე, რომ ეს იყო დრო, როდესაც იწყებოდა კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი გარდატეხის ხანა; ეს იყო დრო, როდესაც იწერებოდა „აპრილის თეზისები“; ეს ის დრო იყო, როდესაც ქვეყნიერების ერთ მეექვსედ ნაწილს ოქტომბრის მზის სხივები მოეფინა. ამისათვის ვიბრძოდით ჩვენ — უფროსი თაობები. ძნელი გზებით მიდიოდა მუშათა კლასი დიდი ოქტომბრისაკენ!..

ამას წინათ ვორონეჟის 35-ე საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლეებისაგან მივიღე ასეთი წერილი:

„სალამი ძვირფასო თევდორე ამბაკოს ძევ!

თქვენი პიროვნება ჩვენ გაგვაცნო პ. ი. კანისა და ი. ი. კორობლიოვის წიგნმა „პეტროკრეპოსტ“. შლისელბურგის საპყრობილეში ჯდომა, ყოფილი პატიმრებისა და შლისელბურგის დენთის ქარხნის მუშების მებრძოლი რაზმის ხელმძღვანელობა, რუსეთის პირველ რევოლუციაში აქტიური მონაწილეობა, — აი, რა დიდი საქმეები გააკეთეთ თქვენ! ვამაყობთ თქვენი თაობის სახელოვანი ბრძოლით. გვწადია, ვიყოთ თქვენი თაობის ადამიანების მსგავსნი. სულითა და გულით გისურვებთ ჯანმრთელობას, წარმატებას შრომაში. გმადლობთ ყოველივე იმისათვის, რაც თქვენ ჩვენი თაობისათვის გააკეთეთ. თუ შეიძლება გამოგვიგზავნეთ თქვენი ფოტოსურათი ავტოგრაფით...“

ამ წერილმა დიდად ამაღელვა და დიდი სიხარული მომგვარა. მინდა ყველას, ყველას გითხრათ, ჩემო მეგობრებო: თქვენ გადმოგეცათ შენების, მშვიდობის და შრომის ესტაფეტა, თქვენ ხართ იმ დიადი საქმის გამგრძელებლები, რომლის გამარჯვებისათვის თავს სწირავდნენ თქვენი წინაპრები. და მეც — რევოლუციის ერთ-ერთი რიგით ჯარისკაცს — მჯერა, რომ სასახელოდ გააგრძელებთ ამ გზას, ააშენებთ კომუნიზმს და იქნებით მისი უბედნიერესი მოქალაქეები.



თ. შავიშვილი



შლისელბურგის დენთის ქარხანა. მუშებისა და განთავისუფლებულ პატიმართა მებრძოლი რაზმი. 1917 წლის 28 თებერვალი. მარჯვნიდან მესამე ზის რაზმის უფროსი თ. შავიშვილი.

# დაუვიწყარი ზაფხული

სერგო კლდიაშვილი

## სტუმართმოყვარე სოფელში

დღიურების საჭიროებას და მნიშვნელობას განსაკუთრებით იგრძნობს ადამიანი, როცა მოინდომებს თვალი გადაავლოს თავის წარსულს. მოკლედ ჩანიშნული რაიმე ამბავი, საუბარი ან თუნდაც ფრთიანი ფრაზა ძალიან შველიან მეხსიერებას და ცოცხლად წარმოსახავენ ხოლმე წარსულის დღეებს. რაც უნდა კარგი მეხსიერება გქონდეს, ბევრი სახასიათო შემთხვევა მაინც ფერმკრთალდება წლების მანძილზე და, ბოლოს, დავიწყებას მიეცემა. მეხსიერებაში რჩება მხოლოდ საერთო შთაბეჭდილება, ხოლო დეტალები სამუდამოდ ქრება. ის კი, რასაც ჩვენ ზოგჯერ წვრილმანად ვთვლით, დიდად უწყობს ხელს წარსულის სურათის აღდგენას. დეტალები უფრო სრულყოფილს ხდიან სურათს და უფრო კონკრეტულ წარმოდგენას გვაძლევენ გარემოზე, ცალკეულ პიროვნებაზე და, საერთოდ, იმ დღეებზე, რომლებიც უკან დაგვრჩა და აღარასოდეს განმეორდება.

ძალიან ვნანობ, რომ თავის დროზე არ ვაწარმოებდი დღიურს. ახლა რომ ის ხელთ მქონოდა, დიდად დამეხმარებოდა და მონათხრობიც უფრო შინაარსიანი და შთამბეჭდავი იქნებოდა. ვინ იცის, რამდენი სახასიათო ამბავი და შეხვედრა გამომრჩა და მიმავიწყდა! ახლა იძულებული ვარ არც თუ სავსებით თანმიმდევრობით განვაგრძო მოგზაურობის აღწერა და მხოლოდ საერთო შთაბეჭდილებებით დავკმაყოფილდე...

ნუ დაიზარებთ, ჩემო ნორჩო მეგობრებო, იქონიეთ დღიურები, მომავალში ის სასარგებლო სამსახურს გაგიწევთ და დარწმუნდებით, რა საჭირო ყოფილა!

ზუსტად არ ვიცი, რა ერქვა იმ პირველ სოფელს, რომელიც სამხრეთ-ოსეთში შესვლისას დაგვხვდა. მახსოვს მხოლოდ, რომ, ცოტა არ იყოს, გვეუცხოვა მისი დანახვა. იმერეთის რბილ პეიზაჟს შეჩვეულთ, მთიანი სამხრეთ-ოსეთის ბუნება, ეს თითქმის ალპიური ზონა, შედარებით მკაცრი გვეჩვენა. ყურადღება მიიქცია იმ სურათმაც, რომ დასავლეთ საქართველოსთვის დამახასიათებელი ღობეებისა და მწვანე ეზოებში ჩადგმული ხის ოდების ნაცვლად, აქ თითქმის ერთმანეთზე იყო მიკრული ქვით აშენებული ბანიანი სახლები და გამოცალკავებული ეზო არსად ჩანდა. ყველაფერი ეს ჩვენთვის უცხო, თავისებურ კოლორიტს ანიჭებდა იქაურობას.

ჯერ კიდევ შესული არ ვიყავით სოფელში, ძაღლების მთელი ხროვა დაიძრა ჩვენსკენ. მაგრამ ძაღლიც არის და ძაღლიც! იმერეთში რომ ვინმეს ეზოს გვერდს ჩაუვლი, ეზოდან გაძვალტყავებული ქოფაკი გამოქანდება და, ღობის ნაპირებს ყეფით მიჰყვება. გულს გიწყალებს, ყურს გიხვრეტს მისი ხმა. უყურებ ქოფაკს, რომელიც აგერაც გადაეხევა ღობეზე, და გიკვირს, საიდან აქვს ამ ნამლევა ცხოველს ასეთი დამაყრუებელი ხმა ან რატომ არ გაუსკდება გული, რომ ასე საოცრად ბრაზობს?! არ გინდა ყურადღება მიაქციო, მაგრამ თავს არ დაგანებებს და არ მოგშორდება, სანამ არ გასცდები მისი პატრონის სამფლობელოს. ხოლო გასცდები თუ არა, უმალვე დაწყნარდება და ენაგადმოგდებული წაძუნძულდება სახლისკენ. აქ კი, ოსეთის ამ სოფელში, ჩვენსკენ გამოქანებული ნაგაზების ხროვა რომ დავინახეთ, უნდა გამოვტყდე, საგონებელს მივეცით, — უშველებელი, დიდთავა, ბანჯგვლიანი ცხოველები ჯერ უხმოდ მორბოდნენ, მაგრამ მოგვიახლოვდნენ თუ არა, მთელმა ხროვამ ერთბაშად ისე დაიბოხინა, რომ გული შეზარა. ვისაც მთიულეთში, ხევსურეთში ან სვანეთში უვლია, დამიდასტურებს ალბათ, რომ განუცდია ეს შიში. მაშინვე დავსხედით მიწაზე და გავირინდენით. ასეთ შემთხვევაში ეს ერთადერთი საშუალებაა უბედურების ასაცილებლად. ძაღლებმა, მოაღწიეს თუ არა ჩვენამდე, გარშემო შემოგვიარეს, წრე დაგვარტყეს და თვითონაც ჩაცუცქდნენ. სხედან უკანა ფეხებზე და ჩუმად შემოგვყურებენ. გაუნძრევლად ვართ, შევყურებთ სახეში, უფრო თვალებში, რომლებიც დაძაბულად მოგვშტერებიან. საკმარისია ერთმა ჩვენთაგანმა უცაბედად ხელი გააქნიოს, მაშინვე გვეცემიან. ჯერ არ გვერჩიან, მაგრამ როდემდის ვიყოთ ამ მდგომარეობაში? ჩვენს ბედზე სოფელში რამდენიმე ქალი და მამაკაცი გამოჩნდა. შორიდან ვხედავთ, რაღაცას ეუბნებიან ერთმანეთს და ჩვენსკენ ანიშნებენ. უეცრად, ერთი მამაკაცი მოახტა უბელო ცხენს და გამოქანდა. პირველ მხედარს მეორე მოჰყვა, მერე გოგო-ბიჭებიც გამოიქცნენ. მორბიან, გვიახლოვდებიან გამამხნევებელი შეძახილით, ყვირილით, ჟრიამულით. მალე კიდევაც მოაღწიეს და გაფანტეს ჩვენი ავი დარაჯები.

როგორც კი გაიგეს, ვინ ვიყავით და რა მიზეზით მოვხვდით ამ არე-მარეში, თავაზიანად გვთხოვეს გავყოლოდით. თითქმის ყველამ, ვისაც გამოველაპარაკეთ, კარგად იცოდა ქართული ენა. დღესაც ცხოვლად მახსოვს ხანშიშესული ორი დარბაისელი სოფლელი, სუფთა ახალუხებში გამოწყობილნი, თეთრ წვერულვაშიანები, ყალიონით ხელში, ალერსიანად მოგვესალმნენ, გამოიკითხეს ჩვენი ამბავი, ტკბილი საუბარი გაგვიბეს, მერე ქალიშვილებს დაავალეს — წინკარში ტაბლა გამოეტანათ და გაგვიმასპინძლდნენ ყველით, მოხარშული კვერცხითა და ქერის პურით.

უცხო ყმაწვილების სტუმრობამ, როგორც ჩანს, ხალისი მოგვარა იქაურ ახალგაზრდებს. ჩვენ ჯერ კიდევ ვილუკმებოდით, როცა რამდენიმე ჭაბუკმა ცხენები გა-

* გაგრძელება. იხ. „პიონერი“ № 1.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოიყვანა და ჯირითი გამართა. ძალიან ლამაზი საყურებელი იყო. საოცარი სისწრაფით გააქროლეს მთიულური პატარა ბედაურები. თან კიჟინას სცემდნენ. განსაკუთრებით ორი ახალგაზრდა იპყრობდა ჩვენს ყურადღებას. ისინი ხან გადმოხტებოდნენ ცხენებიდან, მერე ისევ შეხტებოდნენ გაჭენებულზე, ხან კი ისე გადმოეკიდებოდნენ ცხენის ზურგზე, რომ გვეშინოდა არაფერი მოსწეოდათ. ერთხანს ასე იჯირითეს, ბოლოს შეერთდნენ, ჩვენსკენ გამოქანდნენ და, როგორც კი მოგვიახლოვდნენ, ჯერ ყალყზე შეაყენეს ბედაურები, მერე ჩამოიქვეითეს და ჩვენთან მოვიდნენ. ცხადი იყო, თავს გვაწონებდნენ და ჩვენც გულწრფელად ვაგრძნობინეთ, რომ მოხიბლული ვიყავით მათი ვაჟკაცობით. დიდი სიამოვნების გრძნობა მოგვგვარა აგრეთვე იმისმა დანახვამ, თუ რა მოკრძალებით და მოწიწებით ეპყრობოდნენ ახალგაზრდები უფროსებს. საკმარისი იყო ჭაღარა კაცი სკამიდან ამდგარიყო, ყველა ჭაბუკი, თითქოს ვიღაცას ბრძანებით, მაშინვე ფეხზე წამოიჭრებოდა და გაჭიმული იდგა, სანამ უფროსი ისევ არ დაჯდებოდა ან ნიშანს არ მისცემდა — დასხედითო. იყო ამაში რაღაც თეატრალური სანახაობის მსგავსი, მაგრამ ძალდატანებითი და მოსაჩვენებელი, რა თქმა უნდა, არაფერი ყოფილა, — ეს იყო მხოლოდ ჩვეულებრივი დადასტურება იმისა, თუ რა პატივისცემა ჰქონდათ უმცროსებს უფროსებისადმი და როგორ იცავდა მთის ხალხი თავის კეთილშობილურ ტრადიციას.

ჩვენ აქ ერთი უკადრისი საქციელი ჩავიდინეთ, რაც მერე სანანებლად გაგვიხდა; როცა დავნაყრდით, ერთმა ჩვენმა ამხანაგმა (ჩვენ ის მეთაურად გვყავდა არჩეული) იკითხა, რამდენი გადაგვეხადა სუფრაზე მოტანილ სანოვაგეში. ამაზე ერთმა დარბაისელმა მოხუცმა გვითხრა:



ა. ერისთავ-ხოშტარია



დუტუ მეგრელი

— მე თქვენს მხარეში ხშირად მივლია, არაერთი გლეხის ოჯახში ღამე გამითევვია და პურმარილი მიმილია, მაგრამ არსად არასოდეს ფულზე ლაპარაკი არ ყოფილა, არც იმათ მოუთხოვიათ, არც მე გამივლია ფიქრად. ვიცოდი, ამით მხოლოდ შეურაცხჰყოფას მივაყენებდი მათ. ძალიან მაწყენინეთ, მაგრამ გამოუცდელი ყმაწვილები ყოფილხართ, თანაც ქალაქელები, და მიპატიებია თქვენთვის.

დავიმორცხვეთ და ბოდიში მოვიხადეთ. იმ ჩვენს მეთაურს კი მერე ბევრი საყვედური მივარტყით, რომ სირცხვილში ჩაგვაგდო.

სოფელს სკოლა ჰქონდა, — ერთი დიდი ოთახი იყო. იქ მიგვიყვანეს და ღამის გასათევად მოგვათავსეს, დილით კი ადრე წამოვიშალენით და გეზი ცხინვალისკენ ავიღეთ. იმ მზრუნველობამ და ყურადღებამ, რაც მთის კეთილშობილმა ადამიანებმა გამოიჩინეს, დიდად გაგვამხნევა, ხალისი შეგვმატა და თითქოს კიდევაც გაგვიიოლდა ის გრძელი გზა, რომელიც წინ გვედო. პირადად მე აქამდე შემომრჩა ღრმა პატივისცემა და თბილი გრძნობა ყველა იმ ადამიანისადმი, ვინც იმ სტუმართმოყვარე სოფელში ვნახე.

## სამახსოვრო შეხვედრები

ერწოს ტბიდან ცხინვალამდე, და შემდეგაც, ბუნება ძალიან ლამაზია, განსაკუთრებით კი ის ხეობა, სადაც დაუდგრომელი ლიახვი მოედინება. ერთიმეორეზე თვალწარმტაცი სანახაობა იშლება ჩვენს წინაშე. და ამის გამო იყო ალბათ, რომ ორ დღეში შეუმჩნევლად გავიარეთ მრავალი ათეული კილომეტრი, სანამ გორს მივაღწევდით.

ორიოდე სიტყვა ცხინვალის შესახებ: მაშინ ის პატარა, ღარიბი დაბა იყო. იმდროინდელ ცხინვალში ვისაც არ გაუვლია, მისთვის ძნელი დასაჯერებელი იქნება, რომ დღეს კეთილმოწყობილი ეს ქალაქი, რომელსაც ამშვენებენ მოასფალტებული ქუჩები, მრავალსართულიანი შენობები, ფართო მოედნები და, სადაც ყოველ ნაბიჯზე კულტურული ცხოვრების მაჯისცემა იგრძნობა, ჯერ კიდევ რამდენიმე ათეული წლის წინათ შეიძლებოდა ყოფილიყო ოწყენილი, უსიცოცხლო, თითქმის ყველასაგან და ყველაფრისაგან მივიწყებული დაბა. ასეთ შთაბეჭდილებას სტოვებდა მაშინდელი ცხინვალი. და როცა ამის შემდეგ გორში მოვხვდით, გასაკვირალი არ იყო, თუ ეს უკანასკნელი დიდ და საუცხოო ქალაქად გვეჩვენა.

აქ თავიდანვე გაგვიღიმა ბედმა. პირველი დღე იმით დაიწყო, რომ ანასტასია ერისთავ-ხოშტარიას, დუტუ მეგრელს (ხოშტარიას) და ია ეკალაძეს (ცინცაძეს) შევხვდით. ამ შესანიშნავ ქართველ მწერლებს აქამდე ვიცნობდით მხოლოდ ნაწერების მიხედვით და, რა თქმა უნდა, მათდამი პატივისცემით გამსჭვალული ვიყავით, ხოლო პირადი გაცნობისა და კონტაქტის დამყარების შემდეგ ეს პატივისცემა კიდევ უფრო გაგვიღრმავდა და გულწრფელ სიყვარულადაც გადაიქცა. რა უბრალო და საოცრად კეთილნი იყვნენ ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში ეს სახელმოხვეჭილი ადამიანები!

დუტუ მეგრელმა და ია ეკალაძემ ისიც კი იკისრეს, რომ ჩვენი ჩიჩერონე გამხდარიყვნენ. მათი მეთაურობით დავათვალიერეთ ქალაქი, ძველი ციხე და გორიჯვარზედაც ავედით. ეს ძველებური ეკლესია, საუკუნეების მანძილზე რომ მტკვრის მარჯვენა მხარეს მაღალ გორაკზე იდგა და იქაურობას ამშვენებდა, დღეს აღარ არის. 1919 წელს, დეკემბერში, ძლიერი მიწისძვრა მოხდა გორში, რის შედეგად დიდად დაზარალდა ქალაქი და მრავალი ადამიანი დაიღუპა, ხოლო გორიჯვრის ეკლესია მთლიანად დაინგრა.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რიკტაფელა

ე. მარი

მხატვარი რევაზ ცუცქირიძე

როცა ვლადიმერ ილიას ძე სანადიროდ არ მიდიოდა და სადმე ქალაქგარეთ — აგარაკზე ისვენებდა, სიამოვნებით თამაშობდა ბავშვებთან, მათთან მხიარულად გრძნობდა თავს. ლენინმა ბევრი თამაშობა იცოდა.

ბავშვებიც ერთობოდნენ ვლადიმერ ილიას ძესთან.

ამბობენ, რომ ლენინს გულითადი მეგობრობა ჰქონდა პატარა ბიჭუნასთან— რუსი ემიგრანტის შვილთან. ეს მეგობრობა დაიწყო 1911 წელს, როცა ლენინი საზღვარგარეთ, შვეიცარიის დაბა კლარანში ცხოვრობდა. ემიგრანტი საოცრად ნაღვლიანი კაცი იყო. იქნებ, იგი უცხოეთში უამხანაგოდ ყოფნას დარდობდა და, ერთთავად მოწყენილი, განმარტოებით იჯდა ხოლმე სკამზე ხის ქვეშ, რომლის სახელიც კი არ იცოდა.

ვლადიმერ ილიას ძეს სურდა გასცნობოდა რუს ბიჭუნას და დამეგობრებოდა მას.

და აი, ერთხელ ლენინი მივიდა პატარასთან, როცა იგი რიკტაფელას თამაშობდა. ბიჭს წნელისაგან ჩილიკა ჯოხები გამოეჭრა, მაგრამ ისე უხერხულად ურტყამდა ტაფელით, რომ რიკი ხტოდა და იქვე, სილაზე, დუნედ ეცემოდა.

— რიკტაფელაა? — ჰკითხა ვლადიმერ ილიას ძემ და დასტურად თვითონვე დაუქნია თავი. — აბა, მომეცი ერთი, ვსინჯო, — და ისე დაარტყა, თითქოს ეს თამაში სრულებით არ იცოდა.

ბიჭმა დაინახა, როგორ აფართხალდა რიკი სილაში, ისე, რომ მაღლა არც ავარდნილა.

— ე, თქვენ სულ არ გცოდნიათ თამაში! — თქვა მან და გაიცინა.

მაშინ ვლადიმერ ილიას ძემ უფრო მოხერხებულად დაიჭირა ჯოხი ხელში, თვალი მოჭუტა, დაუმიზნა და... რიკი მყისვე ახტა მაღლა, იმ ხეზე უფრო მაღლა, სკამთან რომ იდგა.

— აი, ეს კი ნამდვილი რიკტაფელაა! — წამოიძახა ვლადიმერ ილიას ძის ახალმა მეგობარმა. — თურმე გცოდნიათ!

ბიჭის შეძახილზე მოირბინეს შვეიცარიელმა ბიჭუნებმა, რომლებიც მორიახლო თამაშობდნენ და მეგობრულად აყიჟინდნენ:



— ჩილიკა ჯოხი, ჩილიკა ჯოხი!

ახლა არ იკითხავთ, დამალობას როგორ თამაშობდა ვლადიმერ ილიას ძე?!

აბა, სცადე და იპოვე იგი, როცა კარადაში ან დივანის უკან დაიმალება! ერთხელ, როცა ვლადიმერ ილიას ძე თავისი კარგი ნაცნობის ქალიშვილს — მაია ბერზინას დამალობანას ეთამაშებოდა, იგი ძველმა, უკვე შეკეთებულმა, ყელიანმა ფეხსაცმელმა გასცა.

— მე ვხედავ თქვენს ფეხსაცმელს,— წამოიძახა მაიამ. — აი, სადა ხართ თქვენ! გამოდით, ვლადიმერ ილიას ძევ, ჰო, გამოდით ახლავე!

ვლადიმერ ილიას ძეს ისღა დარჩენოდა, — გამოსულიყო სამალავიდან და თავი დამარცხებულად ეცნო. მაგრამ თუ ერთხელ ყელიანმა ფეხსაცმელმა გასცა ვლადიმერ ილიას ძე, პიჯაკის სახელომ კი, დიახ, სწორედ სახელომ და, თუ უფრო ზუსტად გნებავთ, მარცხენა სახელომ, მშვენიერი სამსახური გაუწია მას.

ამჯერად იგი დაჭერობანას ეთამაშებოდა პატარა ვერას, სვერდლოვის ქალიშვილს.

ვლადიმერ ილიას ძე სწრაფად დარბოდა. ვერასგზით ვერ დაიჭერდი, გგონია: აგერ, სულ ახლოსაა, მას კი უკვე საკმაო მანძილი აქვს გარბენილი.

ვერამ როგორღაც მოახერხა და, ვლადიმერ ილიას ძე სახელოთი დაიჭირა. ლენინი ამ დროს პიჯაკწამოსხმული დარბოდა. ვერამ სახელო მოჰქაჩა, ვლადიმერ ილიას ძე კი უკვე შორს, ხის იქით აღმოჩნდა და ვერას ხელში მხოლოდ პიჯაკი შერჩა.

ხეს ამოფარებული ვლადიმერ ილიას ძე ეშმაკურად იხედება და იძახის:

— არ ითვლება, ეს არ ითვლება! ვერამ მე კი არა, პიჯაკი დაიჭირა!

ხანდახან ნადეჟდა კონსტანტინეს ასული ეტყოდა ხოლმე:

— რად დარბიხარ ამდენს! დაისვენე. ალბათ გულიც გაწუხებს?

ვლადიმერ ილიას ძე კი მხიარულად ამბობდა:

— არა, არ დავღლილვარ. კიდევ ვირბენ ბავშვებთან.

თარგმნეს დ. შენგელიამ და გ. მეტრეველმა

თეიმურაზ ცაგარელი

ფოტო ავტორისა



თელავის 1-ლი საშუალო სკოლა

# ბებია და შვილიშვილები

იდგა 1942 წელი...

— ეჰ, ღმერთმა დასწყევლოს ომიცა და ფოსტალიონობაც! — ბუტბუტებდა თელავის ვიწროებში მიმავალი მოხუცი დამტარებელი და თან მისამართებს აკვირდებოდა. ერთ სახლთან შეჩერდა, „ეს არის. აქ ცხოვრობს ის უბედურ დღეზე გაჩენილი". — გაიფიქრა მან და შიშით გადაავლო თვალი დეპეშას: „პელაგია პაპუაშვილს, თქვენი შვილი გიორგი გმირულად დაეცა სევასტოპოლთან გამართულ უთანასწორო ბრძოლაში". ღმერთო ჩემო, ეს მეოთხეა! რა გულმა გაუძლოს ამდენ უბედურებას! — ამოიხვნეშა ფოსტალიონმა და გაუბედავად შეაღო პაპუაშვილების ეზოს კარები, შიშით მიმოიხედა და, რაკი ვერავინ ვერ შენიშნა, შეებით ამოისუნთქა. მერე აცახცახებული ხელებით დეპეშა კარის ღრიჭოში გაჩარა და ჩანჩალით ჩაჰყვა დაღმართს...

იმ დღის შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა... ხალხმა მოიშუშა ომით მიყენებული ჭრილობები... პელაგია პაპუაშვილს სიბერე წამოეწია, გაქრა ძველებური მხნეობა და გამრჯეობა. უბნის გოგო-ბიჭები მას ახლა „ბებია პელაგიას" ეძახიან. მარტოხელა ქალმა ჯეროვანი ყურადღება ვერ მიაქცია კარ-მიდამოს, — ოჯახს ხელი დააკლდა.

თინა ხელაშვილსა და მარინე დავითოვას არაერთხელ მოუკრავთ ყური ბებია პელაგიას მკერდიდან ამომსკდარი კვნესისათვის. ბევრი უფიქრიათ და უსაუბრიათ მასზე. ბოლოს, რაზმის მორიგ შეკრებაზე, როცა რაზმეულების საკავშირო ლენინური დათვალიერების მიზნებს ეცნობოდნენ, მარინემ და თინამ ბებია პელაგიაზე ჩამოაგდეს საუბარი. მეექვსერაზმელებმა ერთხმად გადაწყვიტეს, — ბებია პელაგიას დახმარების ხელი გავუწოდოთო. ყველაფერი კი იმით დაიწყეს, რომ თელავის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარეს ვლადიმერ ხელაშვილს პიონერული დელეგაცია გაუგზავნეს და სთხოვეს, — ქალაქის მშენებლობებიდან ბებია პელაგიას სახლის შესაკეთებ-

ეთერი და ლალი მწყრალად იყვნენ ინგლისურ ენასთან. ვერა და ვერ დაძლიეს საგანი. „ჩვენ აქ არა ვართ?“ — თქვეს მეექვსეკლასელებმა და ცეცინო ვარდოსანიძეს „ჩააბარეს“ გოგონები.



ლად საჭირო მასალა გამოეყო. საბჭოს თავმჯდომარემ ყურადღებით მოუსმინა პატარებს და, აბა, ომში დაკარგული ოთხი ვაჟკაცის დედას როგორ არ დაეხმარებოდა?!

ბებია პელაგიას გაოცებას საზღვარი არა ჰქონდა, როცა ფიცრით დატვირთულ საბარგო მანქანაზე წამოსკუპებული წითელყელსახვევიანი გოგო-ბიჭები მის სახლს მიადგნენ.

„ნეტა ვინ არიან და ვისთან მოვიდნენ!“ — ფიქრობდა ბებია პელაგია და თან ყურადღებით ათვალიერებდა მოსულებს. ბოლოს, როცა ყველაფერი გაიგო, ოთხმოცი წლის მოხუცს სიხარულის ცრემლებით აევსო თვალები.

იმ დღის შემდეგ თელავის პირველი საშუალო სკოლის მეექვსერაზმელები ბებია პელაგიას ხშირი სტუმრები არიან. ხანდაზმულ მოხუცს ხალისით ეხმარებიან საოჯახო საქმეებში: ურეცხავენ იატაკს, ჭურჭელს, უსუფთავებენ ეზოს. ერთხელ სკოლის კომკავშირელებსაც სთხოვეს, — ბებია პელაგიას შეშა აქვს დასაჭრელი და დაგვეხმარეთო. ხალისით დათანხმდნენ მეცხრეკლასელები. ზაზა დათიშვილმა და ლექსო ცისკარიშვილმა ცულებს წამოავლეს ხელი, რეზო ხიზანიძემ და გოგი ძამუკაშვილმა ბირდაბირი გამართეს და მოხუცს ზამთრისათვის შეშა დაუჭრეს, დაუჩეხეს და სარდაფში ჩაუტანეს...

8 მარტს ხომ ნამდვილი დღესასწაული გაიმართა ბებია პელაგიას ეზოში: მეექვსეკლასელებმა გულმხურვალედ მიულოცეს ბებიას ქალთა საერთაშორისო დღე.

— ეუი, ქა, რას ჩადიხართ?! დღეობას მილოცავთ თუ სახლი უნდა დამიწვათ?! — შეშფოთდა მოხუცი, როცა პატარებმა კოცონი დაანთეს.

— არა, ბებო, რას ამბობ, ეს შენს პატივსაცემად... პიონერული კოცონია! — ღიმილით აუხსნეს ბებია პელაგიას და, გაჩაღდა მხიარული ცეკვა-თამაში; სიმღერებს სიმღერები სცვლიდა. ბოლოს თინამ, მარინემ, დარეჯანმა და რაზმის სხვა წევრებმა საკუთარი ხელით დამზადებული ტკბილი ნამცხვრები და სხვა საჩუქრები მიართვეს ბებია პელაგიას.

— აი, თქვენ კი გაიხარეთ, შვილებო! თქვენ კი გაიხარეთ! — ბუტბუტებდა სიხარულით აცრემლებული პელაგია და აღარ იცოდა, რომელ მათგანს მიალერსებოდა...

მეექვსე რაზმის პიონერებმა გადაწყვიტეს საბრძოლო დიდების ლაშქრობაში ჩაებმულიყვნენ და მათი მშობლიური ქალაქის მკვიდრების, სამამულო ომში დაღუპულთა ბიოგრაფიები შეესწავლათ. რჩევისათვის უფროს პიონერხელმძღვანელს დარეჯან ჭანკვეტაძეს მიმართეს.

— კეთილი, — მოუწონა ხელმძღვანელმა გადაწყვეტილება. — თქვენ ალბათ უკვე იცით, რომ სულ მალე მთელი ჩვენი დიადი სამშობლო გერმანელ ფაშისტებზე გამარჯვების ოცი წლისთავს იზეიმებს. ჰოდა, ამასთან დაკავშირებით, თქვენი რაზმი შეკრებას მოაწყობს ბებია პელაგიას ეზოში, და...

და ბავშვები ყველაფერს მიხვდნენ.

იმ დღეს უჩვეულოდ ახმაურდა ბებია პელაგიას კარ-მიდამო. მეექვსე რაზმელებთან ერთად ამ შეკრებაზე უფროსი კლასელებიც მოვიდნენ. ავთანდილ ყამბარაშვილმა დამსწრეებს მიულოცა ღირსშესანიშნავი თარიღი, მერე ილაპარაკა ომზე და მის შედეგებზე. ავთანდილი ზაზა დათიშვილმა შესცვალა და ბებია პელაგიას საკუთარი ლექსი უძღვნა.

შემდეგ თინა ხელაშვილმა, დარეჯან ორდენიძემ და მარინე დავიდოვამ ილაპარაკეს. მათ დამსწრეებს საინტერესოდ უამბეს ბებია პელაგიას ოთხი ვაჟკაცის შესახებ, რომლებმაც სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში დასდეს თავი.

შეკრების დასასრულს, ბებია პელაგია ესაუბრა ბავშვებს თავისი ვაჟების ბავშვობის წლებზე.



სწავლა, შრომა და სპორტი ერთნაირად უყვართ თელაველ პიონერებს. აი, ახლაც, ისინი მორიგ წვრთნაზე გამოვიდნენ სკოლის სპორტულ მოედანზე.



ბებია პელაგიას ხშირი სტუმრები არიან „თემურელები“. აი, ახლაც საქმიანად ფუსფუსებენ ისინი ბებიას ეზოში.

ვისაც ამ რამდენიმე ხნის წინ თელავის 1-ლი საშუალო სკოლის ეზო უნახავს, ახლა ვეღარ იცნობს მას. სკოლის ადრინდელი ეზო ქვა-ღორღითა და ეკალბარდებით იყო დაფარული. კომკავშირელებმა და შრომის ლენინურ ვახტზე მდგომმა პიონერებმა გაწმინდეს და მოასწორეს იქაურობა. მერე კი პირველი რაზმის წევრები — თამაზ გოგიაშვილი, ავთანდილ ყამბარაშვილი და სხვები, საბჭოს თავმჯდომარის ბაადურ ბრაგვაძის ხელმძღვანელობით, თელავის კომუნალური მეურნეობის დირექტორს — იოსებ ყარაულაშვილს ეწვივნენ და სთხოვეს სკოლის ეზოსათვის ასფალტი გამოეყო. ძია იოსებს ბევრი არც უფიქრია, ისე გაუწოდა პატარებს დახმარების ხელი.

უნდა გენახათ პიონერებისა და, საერთოდ, მთელი სკოლის სიხარული, როცა თავიანთი ეზო მოასფალტებული იხილეს. შრომისმოყვარე პიონერებმა ერთ მხარეს ფრენბურთის, ხოლო მეორე მხარეს კალათბურთის მოედნები მოაწყვეს.

— ჩვენი ეზო კიდევ უფრო დამშვენდება, თუ მწვანე ნარგავებით მოვრთავთ აქაურობას, — თქვეს როლანდ და თემურ ბოჭორიძეებმა.

— მართალია! — კვერი დაუკრა ოთარ ომიაძემ.

— მოდით, გალავნის ჭიშკრიდან სკოლის ვესტიბულამდე ხეივანი გავაშენოთ.

— თქმა ადვილია... — ჩაერია საუბარში თემურ დალუნდარიძე, — იმას კი აღარ იტყვით, როგორ? რითი? თუმცა მაგის მოგვარებაც შეიძლება, — თვითონვე დასძინა თემურმა, — მოდი, სატყეო მეურნეობას მივმართოთ...

— მართალია, მართალი! — შეუძახეს თემურს აქეთ-იქიდან და პიონერებმა მეურნეობის დირექტორს — აკაკი კაპანაძეს მიაშურეს.

იმავე დღეს სკოლის ეზოს ნაძვის ხის ნერგებით დატვირთული მანქანა მიადგა. დაფაცურდნენ პიონერები; ორმოები ამოთხარეს და ნერგები ჩაამწკრივეს. მეორე დღეს კი ზუზუმბოს გორას შეესივნენ და ბალახიანი ბელტები წამოიღეს გაზონებისათვის. ნერგებსა და ბალახს სისტემატურად რწყავდნენ, ყველა ხეახარეს და ახლა ეს ხეივანი მნახველის გულს ახარებს.

თელავის პირველ სკოლაში არც ხელოვნების ესტაფეტას ივიწყებენ. ამას წინათ, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის თინათინ ბურბუთაშვილის ხელმძღვანელობით, შესანიშნავად დადგეს მალოს საბავშვო პიესა „უსახლკარო“.



„გილოცავთ ახალ წელს! გისურვებთ ახალ-ახალ წარმატებებს სწავლასა და შრომაში!“ — სწერენ თელაველები თავიანთ ტიუმენელ თანატოლებს.

იმ დღეს თელავის სახელმწიფო თეატრი ვეღარ იტევდა ყველა მსურველს. სპექტაკლის დასასრულს მაყურებელმა ერთსულოვანი ტაშით დააჯილდოვა მარინე დავიდოვა და მერაბ ზურაბაშვილი, ვაჟა ბერუაშვილი და გელა ფეიქრიშვილი, დავით იმერლიშვილი და ნოდარ გიგიტელაშვილი, რომლებმაც საუკეთესოდ შეასრულეს თავიანთი როლები და საერთო მოწონებაც დაიმსახურეს.

ამჟამად ხელოვნების მოყვარული პიონერები კ. გოგიაშვილის პიესას — „ბაღნარში“ — ამზადებენ დასადგმელად.

●

სექტემბრის შუა რიცხვები იყო. ერთხელ დარეჯან ჭანკვეტაძემ თინა ხელაშვილი დაიბარა პიონერთა ოთახში და უთხრა:

— ჩვენმა სკოლამ წერილი მიიღო რუსეთიდან. ტიუმენის მე-5 სკოლის პიონერებს თქვენს რაზმთან მეგობრული კავშირის დამყარება სურთ.

— მართლა?! რა კარგია! — გაუხარდა თინას. — ჩვენი რაზმეულის თითქმის ყველა რაზმს მეგობრული მიმოწერა აქვს რუსეთის რამდენიმე სკოლასთან. ჩვენი რაზმი კი ამ მხრივ გულგრილობას იჩენდა. დღეიდან ჩვენც გვეყოლება შორეული მეგობრები.

ტიუმენის პიონერებს თავიანთ სკოლაში ინტერნაციონალური მეგობრობის წრე ჩამოუყალიბებიათ და გადაუწყვეტიათ შეისწავლონ მოკავშირე რესპუბლიკების პიონერთა ცხოვრება. ამჟამად ისინი საქართველოს ეცნობიან და სწავლობენ ქართულ პიონერულ სიმღერებს, ქართველ პოეტთა ლექსებს და, საერთოდ, ყველაფერს ჩვენი რესპუბლიკის შესახებ.

თელაველმა პიონერებმა ყველაფერი იმით დაიწყეს, რომ თავიანთ თანატოლებს გაუგზავნეს ქართული ანბანი რუსული შესატყვისით, ქალაქის ხედები და ზოგიერთი ისტორიული ადგილების მოკლე აღწერა; პირველი იანვრისათვის კი ხილით სავსე ამანათი გაუგზავნეს ტიუმენელებს და ახალი წელი მიულოცეს. სხვათა შორის, ხილთან ერთად, ჩურჩხელებიც იყო ამანათში. როცა თელაველებმა საპასუხო ბარათი მიიღეს ტიუმენელებისაგან, — ბევრი იცინეს; თურმე ტიუმენელ პიონერებს ჩურჩხელები საახალწლო ნაძვისხეზე დაუმაგრებიათ და მათი ანთება უცდიათ, — სანთლები ჰგონებიათ, მერე კი საყვედური შემოუთვალეს თანატოლებს — თქვენი გამოგზავნილი სანთლები არ აინთოო.

რაზმეულების ლენინურ დათვალიერებაში რომ გაიმარჯვო, ამისათვის, უპირველეს ყოვლისა, კარგი სწავლაა საჭირო. ეს კარგად იციან მეექვსერაზმელებმაც და პიონერულმა აქტივმა გადაწყვიტა დახმარებოდა ჩამორჩენილებს. „არც ერთი ოროსანი რაზმში!“ — ასეთი იყო ამოცანა. პატარების სიბეჯითემ და კოლექტიურმა მეცადინეობამ მალე გამოიღო სასურველი ნაყოფი. ახლა რაზმში ყველა პიონერი ასწრებს და მეექვსერაზმელებსაც სჯერათ, რომ რაზმეულების საკავშირო ლენინური დათვალიერების ბოლოს მათი სკოლის თავზეც აკაშკაშდება ლენინური ვარსკვლავი.




**ბ. აუერბახი:** მხოლოდ ისაა თავისუფალი, ვინც დამოუკიდებლად აზროვნებს და არ იმეორებს სხვის სიტყვებს, რომელთა აზრი მას არ ესმის.

**ჯ. ბოკლი:** ვინც სიბნელეს ვერ ამჩნევს, ის არასოდეს სინათლისკენ პირს არ იზამს.

**კ. გოლდონი:** ქვეყანა—მშვენიერი წიგნია, მაგრამ უსარგებლოა მისთვის, ვინც კითხვა არ იცის.

**გ. ებნერ-შენბახი:** ვინც არაფერი არ იცის, მას ყველაფერი უნდა სწამდეს.

**ქრ. ვილანდი:** უვიცს ყველაფერი შესაძლებლად მიაჩნია.

**ვ. კრაჩკოვსკი:** ბრიყვი, მაშინაც კი, როცა ახველებს, ვინმეს ბაძავს.

...ბრძენი სიზმარსაც ბრძნულს ნახულობს, სულელი კი ძილშიც სულელურად იქცევა.

**ფრ. ლაროშფუკო:** უბადრუკი ადამიანი ლანძღავს ყველაფერს, რაც კი მის გონებას აღემატება.

**ა. პისემსკი:** საკუთარი ჭკვიანური სიტყვის მოფიქრება და თქმა მეტად ძნელია, სხვისი სიტყვის განმეორება, მისი აზრის მიუხვედრელადაც კი, — მეტად ადვილი.

**ა. წერეთელი:** ვინც სხვის სიტყვებს (შეუმოწმებლად) გაიმეორებს დაბეჯითებითა და სარწმუნოდ, ის ან უიმედოა საკუთარ ჭკუა-გონებაზე და ან განზრახ იმეორებს და ცუდი კაცია.

**ქართული ანდაზა:** თვალით უსინათლო სჯობია თავით უგუნურსაო.

# ცხრათვალა მზის ქვეშ



გამოჩენილმა ქართველმა მეცნიერმა, ბავშვების საყვარელმა მწერალმა ნიკო კეცხოველმა ახლახან დაწერა დიდი მოცულობის წიგნი „ცხრათვალა მზის ქვეშ". მასში მხატვრული ფორმით არის აღწერილი საქართველოს ველები და ნახევრადუდაბნოები, რომლებსაც მოგზაური იშვიათად ეწვევა ხოლმე, მაგრამ რომელთაც მეტად თავისებური სილამაზე და დიდი წარსული აქვთ.

ვბეჭდავთ რამდენიმე თავს ამ წიგნიდან.

მხატვარი იური ძლიბაძე.

ნ ი კ ო  კ ე ც ხ ო ვ ე ლ ი

## რვაათასი წლის წინ დამარხული მტვრის მარცვალი

— აი, ძია პავლე, მოვედით და მოვაღწიეთ!— მხიარულად თქვა და საბარგო მანქანიდან გადმოხტა წარმოსადეგი, სამგზავრო ტანსაცმელში გამოწყობილი, თმაშევერცხლილი ვაჟკაცი.

— კეთილი იყოს თქვენი ჩამოსვლა, კეთილი! კაი კაციც სუფრაზეო. თქვენს ჩამოსვლას გაუმარჯოს!—პირღიმილიანი შუახნის ძია პავლე გულღიად დახვდა ჩამოსულთ.

— გამარჯობა. ხომ კარგად, ძია პავლე?

— გაგიმარჯოს, ჩემო გიორგი, კარგად რომ არ ვიყო, არ იქნება; ხომ იცი, ხაქვეყნო საქმე, თუ მე კარგად არა ვარ, სწორე გზაზე ვერ გაივლის,—ამ ხუმრობაზე თვითონვე გაეღიმა.

ორი შელერებული, 14—15 წლის „ვაჟკაცი" კი, პირზე ღიმილშეთამაშებული, მაღლიდან უსმენდა მამისა და ძია პავლეს პაექრობას.

— კაცო, ე არწივის ბარტყები შენი ბიჭები ჩანან, შალვა კი წინათაც მინახავს. რად არ ჩამოვლენ! თუმც არა, გაცნობას მერეც მოვესწრებით, ჯერ ბარგი ჩამომაწოდეთ,—და პავლემ მაგარი მარჯვენა გაუწოდა ზურგჩანთის ჩამოსართმევად.

— ესენია შენი ბიჭები არა? მაშ, ეს ერეკლე იქნება და ეს—ვახტანგი, ხომ? როგორ გაიპარა ე წუთისოფელი თვალსა და ხელშუა! შენი ქორწილის შემდეგ აღარ ჩამოვსულვარ, სულ მინდვრად ვხვდებოდით. ახე მგონია, გუშინ იყო მეთქი. კაცო და, ამოდენა ბარგი რაღად გინდა? ჩვენს ოთხ ვირს როგორ აეკიდება? აქაო და სახედარმა თქვა: წვრილი ფეხების გადატეხვისა რომ არ მეშინოდეს, მთელ ქალაქს ავიკიდებდიო, ამიტომა?—არ ისვენებდა პავლე და ჩამოწოდებულ ბარგს შალვასა და მძღოლს—გოგიას აწოდებდა, რომელთაც ეს ყველაფერი აივნისაკენ მიჰქონდათ.

— აბა, შვილებო, მოგშივდებოდათ; კამეჩის ცივი მაწონით გული გაიგრილეთ,— შეეპატიჟა პავლეს მეუღლე ხალომე ბიჭებს და კიდობნიდან ამოღებული პურები მაგიდაზე დააწყო.

— გმადლობთ, ახლახან ვისადილეთ,—თქვა ერეკლემ და უკან დაიხია.

— ძალო ხალომე, ახლახან კი არა, კაი ხუთი საათია მას შემდეგ,—გასცა ძმა ვახტანგმა და მხიარულად გაიღიმა.

— კეთილი, ძალო სალომე, ახლავე, ახლავე,—წაეშველა შვილებს გიორგი.—აი, თქვენთვისაც ზოგი რამ გამომატანა ჩემმა დიასახლისმა,—და ამის თქმაზე სავსე ზურგჩანთა გადასცა.—ეს სალომეს შვილიშვილებსაო, დამაბარა. მართლა, სად არიან, არა ჩანან. ზოგიც თავად სალომესაო.

— რად სწუხდებოდით? თქვენ ისე არ ჩამოხვალთ, რომ რაღაც არ გადმომცეთ,— ჩემმა დიასახლისმა გამოგიგზავნაო. სად იქნებიან? იორზე. ვიღაც გეოლოგები თუ ბოტანიკოსები მოსულან, ზაალიანთასა დგანან. ივრის ჭალაში ბურღი დაჰკრეს,—ყვავილის მტვერი უნდა ვიპოვოთო! რა ვიცი, რას არ მოიგონებთ ეს მეცნიერები. ქვესკნელში ყვავილის მტვერი როგორღა უნდა იპოვნონ?!

— ვანო იქნება, ბიჭებო. აბა, გაჰკარით ხელი და, სანამ შეღამდება, ჩავიდეთ იორზე...

ბიჭებმა მოიმარჯვეს ხის კოვზები. „ხის კოვზით მაწონი უფრო გემრიელია",— უთხრა ძია პავლემ. მართლაც, ხის კოვზით უფრო გემრიელი ჩანდა. გიორგიმ გოგია





მძღოლს დაავალა: თოთხმეტი დღის შემდეგ, ამა და ამ დღეს, შირაქში ჩამოდი, კასრის წყალზე, ინსტიტუტის საცდელ ბაზაზეო. გზად პავლესთან გამოიარე და აქ დატოვებული ბარგი და მასალა წამოიღეო.

— ახლა კი აეკიდება!—დაატანა პავლემ, უკანასკნელი დავალება რომ გაიგონა.

ამის შემდეგ გიორგი, თავისი ორი ბიჭით, პავლეს მეგზურობით, ივრის ჭალისკენ ვიწრო ბილიკს ჩაუყვა.

— აგერ, ჩვენი სახედრებიც,—გაიშვირა ხელი პავლემ და ჭალის პირას მობალახე სახედრებზე მიუთითა.

სანამ ჩვენი მგზავრები ივრის პირას ჩავიდოდნენ, გავიცნოთ ისინი: ვინ არიან და რას აპირებენ.

გიორგი სამეცნიერო დაწესებულების მუშაკია. მას დავალებული აქვს წელს შეისწავლოს ჩვენი ველები, უფრო სწორად, ერთხელ კიდევ თვალი გადაავლოს მათ, დასახოს ღონისძიებანი ტყის საფარი ზოლების გასაშენებლად.

ვახტანგი მეექვსეკლასელი მოსწავლეა, ერეკლე—მერვეკლასელი. გიორგის შვილები არიან. აუტყდნენ მამას, ჩვენც წამოვალთ, კოლექტორი, მუშა ხომ გინდა, მათ მაგივრად ჩვენ ვიმუშავებთ, გვაჭამე, გვასვი, სხვა გასამრჯელო არ გვინდაო.

გიორგიმ ბევრი იუარა. ეშინოდა, ელდარის სიცხემ ბავშვები არ დამიჩაგროსო. ბოლოს სკოლა მოიმიზეზა: სკოლა ვერ გამოგიშვებთ, სწავლა ჯერ არ დამთავრებულაო. ბიჭებმა ხმა აღარ ამოიღეს, ერთმანეთს კი გადახედეს და თვალებით რაღაც თქვეს. ორ-სამ დღეს ხმა აღარ ამოუღიათ. მეორე დღეს, როდესაც ისადილეს და მხიარული ლაპარაკი გააბეს, ერეკლე მეორე ოთახში გავიდა, იქიდან რაღაც თეთრი ქაღალდი გამოიტანა და მამას დაუდო წინ:

— ეხლა რაღას იტყვი?!

სკოლის დირექტორის წერილი იყო. ვახტანგი და ერეკლე ისე კარგად სწავლობენ, რომ სკოლას შეუძლია დართოს ნება სამეცნიერო ექსპედიციაში წავიდნენ კოლექტორებადო, ოღონდ იმ პირობით, თუ სკოლასაც ცოტა რამეს მაინც ჩამოუტანენო.

— მერე, შესძლებთ კოლექტორობას?

— თუ ვერ შევძლებთ, გასამრჯელოს ნუ მოგვცემ და გათავდება საქმე.

— ეჰ, თქვე თავქარიანებო! რას ვიზამ. მაგრამ შალვა თანაშემწედ მაინც უნდა წამოვიდეს.

ბალღებს ესეც გაუხარდათ.

შალვა ახალგაზრდა მეცნიერი მუშაკია, გიორგის მოწაფე. იგი მასთან ერთად დადის ექსპედიციებში და კარგად ეხმარება. ჩუმი და წყნარი მუშაკია.

ძია პავლე? ძია პავლე ერთი ჩვეულებრივი კოლმეურნეა, გლეხკაცი, ერთი იმათგანი, რომელთა დაუღალავმა, ყოველდღიურმა ჩუმმა და თავდადებულმა მუშაობამაც დღევანდელამდე მოიტანა ჩვენი სამშობლო. პავლე მამით ადრე დაობლდა. ახალგაზრდა დედას ხელში შერჩა სამი ობოლი: პავლე და მისი და-ძმა—სიმონა და მზექალა. ჩაიცვა თალხი კაბა, დაიხურა შავი მანდილი და ქალის საოჯახო საქმეებს ბარი და თოხი, ნამგალი და ცელიც მიუმატა. ობლებს ობლობა არ შეამჩნევინა. ერთხელ კარის მეზობელმა თავისი ბოსტნის ღობე აყარა და ხელახლა შეღობა. მელო შინ არ იყო, საღამოს რომ მოვიდა, გახედა ხაზს,—ღობე ორი მტკავლით მაინც იყო გადმოწეული; შევიდა საბძელში, რკინის ფიწალი გამოიტანა, პავლეს სიტყვა გადაუგდო: წადი, პაპა ღვთისო ამოვიდეს აქაო, და დაიწყო ღობის აშლა, როდესაც მეზობელი ყვირილით მოვარდა, მელომ ფიწალი მიუბრუნა და მრისხანედ შეუძახა: „ე მანდ გაჩერდი, თორემ ამ ფიწლით ბრმა კრუხივით დაგსვამო“... მეზობელმა მართლაც ფეხი ვერ გადმოდგა, ბოსტნიდან ჩხუბობდა. მელომ დაგლიჯა მარგილები და გადაუყარა: „დადექ ეხლავ და მამა-პაპეულ სირონზე შეღობე! გეგონა: ობლებს დავჩაგრავო?“.

ამ დროს პაპა ღვთისომაც შემოალაჯა.

— რა ამბავია, ხალხო, რასა წიოკობთ, ლეკიანობა ხომ არ არის!..

როცა საქმეს ახედ-დახედა, მიუბრუნდა თედოს და საყვედურად ესლა უთხრა:

— არა გრცხვენიან, კაცო, სინდისს რო ულალატო, ობლებს როგორღა ღალატობ და ჩაგრავ?!

— არა, პაპა ღვთისო, ობლებს არავის დავაჩაგვრინებ!—გადმოსძახა მელომ და ჯალჯის კონა თედოს ბოსტანში გადააგდო...

უბნის თავკაცებიც მოვიდნენ, თედო ყველამ შეარცხვინა.

— თედო, მეტი ჯანი არ არის, საპირგამტეხო და პირის ჩამოსაბანი შენია. შენ წადი, თადარიგი დაიჭი, ღობეს ჩვენ გავავლებთ,—გადაწყვიტა ღვთისომ.

თედო ზლაზვნითა და ბურტყუნით წავიდა სახლისკენ. მეზობლებმა ღობე ძველ სირონზე აღადგინეს. მალე თედოს სახლის დერეფანში ხუთი-ექვსი კაცი ტაბლას შემოჯდომოდა და ღვინოს შეექცეოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოტახნის შემდეგ პავლემ ხონჩაზე დალაგებული პური, ყველი, მწნილი და ერთი სავსე სალვინე მიართვა: „ეს დედაჩემმა მოგართვათ, შერიგებისა და ამ საქმის დავიწყებისა იყოსო“...

— აი გაიზარდე დიდი კაცი, ჩემო პავლე. გახსოვდეს და არ დაივიწყო: კაი კაცის პურმარილი ზღვაზე ხიდად გაიდება.

— კარგ-კაცობა ქვაზე დადო, გაიარო წინ დაგხვდება,—უთხრა პაპა ღვთისომ და თედოს გადახედა.— შენც კარგ კაცობაზე მეტი არა აკეთო რა!

— გმადლობ, პაპა ღვთისო, გმადლობ,— და პავლემ სახლისკენ მოკურცხლა.

მალე თედოს ეზო-ერდოდან ნელი ღიღინიც მოისმა.

ნათქვამია: „დავწვრილშვილდი დავიწიე, დამეზარდნენ ავიწიეო“, პავლემ ისე დაიმშვენა ულვაშები, დედამ ვერც კი შეამჩნია.

ერთ დილას მელო ეზოში რომ გამოვიდა, პავლე ურმის თვალს აკეთებდა.

— ვისია, ბიჭო, ან შენ რა იცი მაგ საქმისა?—შეეკითხა დედა.

— აბა სალამოზე ნახე, ვიცი თუ არა,—უპასუხა.

მალე პავლემ სახელი გაითქვა, როგორც საუკეთესო ხელოსანმა. იმისთანა ურემს გამოკვანწამდა, „თამარ დედოფალსაც კი ეკადრებაო“,—იტყოდნენ სოფელში. გავიდა წელი და სოფლის წისქვილი გამართა. დედა პირჯვარს იწერდა: როდის, საიდანო...

— დედა, სოფელი დიდია. ხან სადა ვნახე ეგ საქმე და ხან სადა. თუ თვალი გიჭრის, დიდი საქმე არ უნდა მაგას.

სიმონა ვენახში დატრიალდა. შვილივით ჰყავდა ვაზი ნაზარდი. თითოეულ ვაზთან წელიწადში რამდენჯერმე მივიდოდა, შეასწორებდა, ზედმეტ ფოთოლს შეაცლიდა, შეფურჩქვნიდა, მტევანს გამოაჩენდა, მიუალერსებდა.

მზექალა ხომ დამშვენდა და დამშვენდა. იმისთანა წერწეტი და კენარი ტანი ალვის ხესაც არ ექნებოდა. რომ დადიოდა, მიწას ფეხს არ აკარებდა; თუ ვისმე შეხედავდა, მისი თვალის სიმშვენიერე ელვასავით გაიელვებდა. მისი ღიმილი ხომ ცის გახსნასა ჰგავდა. სახლში ჟღარასავით ტრიალებდა. კარში კი ხმა იყო დავარდნილი, მაგისთანა ჭრელ წინდას ბებია ბაბალეც ვერ მოქსოვსო. ჭრის და კერავს კიდევ უკეთესადო. განა ვინ გააჩერებდა ასეთ გოგოს დიდხანს! მალე გაახარა და დაამწუხრა კიდეც დედაცა და ძმებიც. მარტყოფელმა ბიჭმა წაიყვანა. დედა ცრემლად ილვრებოდა. ნათქვამია:

„ნეტავი ნეფის დედასა, ვარდნი უსხედან კერასა,
ვაი, დედოფლის დედასა, თაგვნი ურბენენ კერასა“,—

მელოს უხაროდა, მაგრამ ენანებოდა თავისი ქალი, ქალი მზექალა.

ორივე ძმამ ერთ დღეს იქორწილა. პირველ ნახევარ წელს რძლები კარგად იყვნენ, მერე ცოტა აუშვეს, ქმრებს ებუზღუნებოდნენ—ძმას გაეყარეო, აღარც დედამთილი მოსწონდათ. ლამის მელოზე იყო ნათქვამი:

„ვთქვა და, აბა, როგორა ვთქვა, ავი დედამთილი ხარო.
როცა ვზივარ, კუტი ხარო, დავდივარ და—ცეტი ხარო,
არასა ვჭამ—უჭმელი ხარ, შევჭამ რამეს,—სვავი ხარო,
კარგს ვეტყვი და, არც ეს სჯერათ, მამაძაღლის ქალი ხარო“...

ძმები ჯერ აინუნში არ აგდებდნენ. მაგრამ ცოლებმა აღარ დაიშალეს. მაშინ, ერთ მშვენიერ დღეს, შვილებმა დედა მარტყოფში გაგზავნეს, მზექალა ნახეო. ცოლები დიდ ოთახში ჩაკეტეს, ხმელი პურისა და წყლის ანაბარა. დასხედით და თქვენი სადაო ბოლომდე თქვითო. თვითონ ახალ ვენახში წავიდნენ და მთელი დღე ღიღინებდნენ:

„სიდედრო შავგვრემანობით არ დაიწუნო სიძეა,
წადი სოფელში იკითხე: გრძელი ვენახი ვისია“.
„ვენახსა განაპირასა, ჩაურიგებენ მანასა,
ვინც ღვინოს დაგვალევინებს, იმას მოვუმკით ყანასა“.

კარგა რომ მოსაღამოვდა, შინ მაშინღა დაბრუნდნენ. თვითონ არ შეეხმაურნენ. ცოლებმა დაუწყეს ხვეწნა: გაგვიღეთ კარებიო. გაალეს.

— წმინდა გიორგი გაგვიწყრეს, თუ ამის შემდეგ ან დედამთილი, ან თქვენ, ან მეზობელი, ან ერთმანეთი ავუგად მოვიხსენიოთო.

ორი დღის შემდეგ მელო ჩამოვიდა. ჰკითხა პავლეს: „ბიჭო, რა უყავით ამ ქალებს ასეთი, სულ თვალებში შემომციცინებენო“... პავლემ ჩაიცინა და არა უთქვამს რა.

პავლე იყო და მთელი ხეობა,—იმისთანა ურემი, გუთანი, კევრი, მარხილი, წისქვილი ხელიდან არავის გამოსდიოდა. გუთნისდედა ხომ იყო და იყო. პავლეზე ვერავინ წაიმღერებდა:

„გუთნიდედას რა აცხონებს, რა შეიყვანს საყდარშია:
კაი დარში თვითონა ხნავს, მოდგმას უხნავს ავდარშია“.

არც ზამთარს ატარებდა უქმად: თლიდა კოვზებს, ტაბაკებს, ხონჩებს, ფანდურებს.





ლხინში ხომ იყო და იყო: ენაკეთილი, სიტყვა-პასუხიანი; იგავ-არაკი და ანდაზა, შაირი და სიმღერა მისი მოგონილი იყო.

შვილები კარგი დაზარდა. ორი უფროსიდან ერთი ინჟინერია, მეორე—აგრონომი. უმცროსი სახლში ჰყავს.

აი, უკვე 65 წელი განვლო შრომაში და, განვლო ვაჟკაცურად, ბევრჯერ გასჭირებია, მაგრამ არ დაუკვნესია.

დღეს გიორგის ექსპედიციაშიც იღებს მონაწილეობას. წინათაც გაჰყოლია მეგზურამხანაგად. თავიდანვე უყვარდა იმათთან სიარული, ვინც მასზე მეტი იცოდა და იცის.

აი ასეთი იყო პავლე.

პავლეს უკვე მოემარაგებინა ოთხი სახედარი; ერთი თავისი იყო, ერთი დაექირავებინა და ორი კი ბოდბის ბაზარზე ეყიდა, ნუკრიანელებისაგან.

— წინათ ნუკრიანი მთელი ქიზიყისათვის ზრდიდა სახედრებს და ახლა ორი სახედარი ძლივსლა ვიშოვეთ!—თქვა პავლემ.

თურმე ნუკრიანი, რომელიც გომბორის ქედიდან წამოწეული მთის წვერზე, ზღვის დონიდან 800–900 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს, განთქმული ყოფილა კარგი სახედრებით; სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი დარგი ამ სოფელში სახედრების მოშენება იყო, მათ მთელ ქიზიყში ჰყიდდნენ. სახედრებს აქაურ მეურნეობაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ, რადგან წინათ წყალი ნახევარი დღის სავალზე იყო, ვენახებიც შორს ჰქონდათ.

„მაჩხაანზე ჩავიარე, წყალი იყო მეტად ძვირი.
პატარძალსა წყალი ვთხოვე, მომაწოდა ლელვის ჩირი:
— სანამ ვირი მოვიდოდეს. ამით გაისველე პირი“.

ივრის მეორე ტერასის შუბლი რომ ჩაათავეს, უკვე ივრის ჭალაზე გავიდნენ. მაგრამ ჭალაში ძველი ტყის ნაშთებიღა ჩანდა აქა-იქ: თეთრი ვერხვი, ოფი, ტირიფი, შავი მურყანი. ჭალაზე გაბატონებული იყო ოფის შიმალი. განზე ერთი-ორი ნამეხარი მუხა იდგა. ჭალის პირას კი გაშენებული იყო ამერიკული ვერხვის კორომი.

ეს წვეთი იყო იმასთან შედარებით, რაც ამ ორმოციოდე წლის წინათ იყო. იმ დროს აქ იდგნენ უზარმაზარი, თეთრტანა ვერხვები: ხვალო და ოფი, შავი მურყანი, ოდნავ შემაღლებულზე—გრძელყუნწა მუხა და თელა, იფანი, ნეკერჩხალი, მაჟალო, პანტა და მრავალი სხვა. ჭალის ტყე გადაბარდული იყო ხუროთი და ეკალ-ღიჭით, კატაბარდათი და ღვედკეცით, სვიითა და მაყვლით, ველური ვაზით. ამ ჭალაში გაჰქონდათ შლიგინი გარეული ღორის კოლტებს. ხანდახან ქორბუდა ირემიც გამოვიდოდა ტყის პირზე და მიათვალ-მოათვალიერებდა არე-მარეს; რუკრუკებდნენ, კრიახობდნენ ხოხბები, დურაჯები; მუხის ტოტები დახუნძლული იყო გარეული მტრედის გუნდით, ჭალარა ქედანითა და გვიძინით, ბილიკებზე კი დაგოგმანობდნენ გვრიტები,

მაგრამ დღეს? დღეს თითქმის ყველაფერი ეს სიზმარივით გაქრა. უდიერმა ხელმა მოსპო და გააცამტვერა ყოველივე.

— ხომ გითხარით, ვანო იქნება-მეთქი,—მიმართა ბიჭებს გიორგიმ და მიესალმა შუახნის კაცს, რომელიც ბურღთან ტრიალებდა.

მალე გაიბა საუბარი. ვანო სწრაფად მიხვდა, რომ გიორგიმ ეს ბალღები შემთხვევით არ მოიყვანა.

— ზაირა, აბა აიყვანე მანქანაზე და აჩვენე შენი ნამოღვაწარი.

საქმე იმაშია, რომ ამ ჯგუფს საველე ლაბორატორია თან ჰქონდა და, ბიჭები მალე მიუსხდნენ მიკროსკოპიან პატარა მაგიდას, სამტონიანი მანქანის ჩარდახქვეშ. მიწის წვრილ ნამცეცებს შორის, ირგვლივ მოჩუქურთმებული რაღაც სხეულები შენიშნეს, თავი მაღლა ასწიეს, შეხედეს ზაირას და თავი გააქნიეს—ვერაფერი გავიგეთო.

ზაირას გაეღიმა და კაკლის ყვავილედიდან (ჩვენში „ლეკვებს“ რომ ეძახიან) მიკროსკოპის მინას მტვერი დააბერტყა, სიფრიფანა შუშა დააფარა, „აბა, ჩაიხედეთო“, და მიკროსკოპის მაგიდაზე დადო.

ერეკლემ კარგა ხანს უცქირა და, თავი რომ მაღლა ასწია, წამოიძახა:

— წელანდელ შუშაზეც კაკლის მტვერი იყო!

ვახტანგიც, რომელსაც ახალი აპარატი უკვე გაესინჯა, თავს აქნევდა.

— აი, ახლა გაჩვენებო ლაფნის მტვერსაც,—თქვა ზაირამ.

— როგორ? ლაფანი აქ რომ არ იზრდება?!

კარგა ხანს ვახტანგი და ერეკლე მანქანიდან აღარ გადმოსულან, თვალებდაჭყეტილნი ყურს უგდებდნენ ზაირას.

თურმე ამ 7–8 ათასი წლის წინათ (ამ პერიოდს გეოლოგები პოლოცენს უწოდებენ), გამყინვარების შემდგომ პერიოდში, როგორც ჩანს, კლიმატი რამდენიმეჯერ შეიცვალა: ცივი—გრილზე, გრილი—ცხელზე, ტენიანი—მშრალზე, მშრალი—კვლავ ტენიანზე და ა. შ.



ეროვნული
ბიბლიოთეკა



ვარაუდობენ, რომ სწორედ ჰოლოცენში გაჩნდა ხეობები, ჭალები და განსახლდა
ადამიანი. ამის შემდეგ იწყება ეგრეთწოდებული ნეოლითი, რომელმაც შეცვალა ქვის
ხანა. ნეოლითის პერიოდის დასაწყისში დაიწყო თიხის ჭურჭლის კეთება. ამ დროს
იწყება მესაქონლეობა და ზოგან—ხვნა-თესვაც. ივრის ხეობა დაფარული იყო ისეთი
ჭალის ტყით, როგორითაც ახლა რიონის ნაპირებია დაფარული. აქ იყო გაუვალი
ტევრები ლაფნისა და ვერხვისა, რომელიც გადახლართული იყო ხურმოთი და ღვედკე-
ცით, კატაბარდათი, ეკალ-ღიჭით. ერთი სიტყვით, აქაც კოლხური ტიპის ტყე არსებობ-
და, მაგრამ კლიმატის ცვალებადობამ კოლხური ელემენტების უმრავლესობა ამოწყვიტა,
ლაფანი და სხვა მისთანანი აღმოსავლეთ საქართველოში დღეს მხოლოდ ალაზნის ნაპი-
რებზეა შემორჩენილი.

ხუთი მეტრის სიღრმიდან ამოღებულ ნიმუშში კიდევ ერთი საინტერესო რამ
აღმოჩნდა, სახელდობრ, კაკლის (ნიგვზის) მტვრის მარცვალი.

დღევანდლამდე გავრცელებული იყო მოსაზრება, რომ საქართველოში, საერთოდ,
კავკასიაში, კაკალი შემოტანილი მცენარეა; თუ ტყეში გვხვდება სადმე, ეს მხოლოდ
გაგარეულების შედეგია, ან ნასოფლარებზეა შემორჩენილიო. ჰოლოცენში, 7-8 ათასი
წლის წინანდელ ფენებში აღმოჩენილი მტვრის მარცვალი კი იმის დამადასტურებელია,
რომ კაკალი აქაური მცენარეა. ამასვე ადასტურებს ცნობილი მკვლევარი პალიბინიც,
რომელმაც ამ 50 წლის წინათ შირაქის ნამარხებში, სხვა მცენარეებთან ერთად, კაკა-
ლიც ნახა, მაგრამ მისი ეს ცნობა როგორღაც დაივიწყეს.

ერეკლემ და ვახტანგმა თვალები დახუჭეს და წარმოიდგინეს შორეული წარსუ-
ლის უღრანი ტყე. ვინ იცის, რამდენი და რანაირი ნადირი არ იყო აქ. აკი ჩვენმა
პალეონტოლოგებმა სწორედ ივრის ხეობაში (შირაქისაკენ) ნახეს ჩონჩხები სპილოსი,
მარტორქისა და სხვა მრავალი ისეთი, რომელიც ჩვენს თანამედროვე ისტორიას არ
ახსოვს.

ორასი-სამასი წლის წინათაც აქ კარგი ტევრები იყო თურმე.

აილო ზაირამ ერთი წიგნი გადაფურცლა და წაიკითხა:

„ხოლო მდინარის იორის კიდე, იმიერი და ამიერი, არს ფრიად ნაყოფიერი, ვი-
ნაიდან აღმოვლენან რუნი და ირწყვიან ველნი და სცენდებიან ყოველნი მარცვალნი.
და დასდევს იორს მცირე ჭალაცა და ლერწმოვან-ჩალიანი, და არიან ნადირნი და ფრინ-
ველნი მრავალნი და უმეტეს ხოხობნი. გარნა იყო ალაზნის შესართავამდე და ვიდრე
სამგორამდე შენობანი დიდ ფრიად, არამედ მოოხრდა გამოსვლასა ბერქასსა და შემ-
დგომად ლანგ-თემურისაგან, რომელნი ჩანან დღესაც“...

— აი, ასე აგვიწერა ვახუშტი ბატონიშვილმა თავის გეოგრაფიაში. დღეს ჭალაც
მოსპობილია. მაგრამ აგერ, ქვემოთ გაიხედეთ,—ახადა ზაირამ ჩარდახის კალთა მანქა-
ნას.—ხედავთ ჭალას? ეს ნაკრძალია, საგარეჯოს ნაკრძალი. იქ უკვე კარგი ტყეა, მაგ-
რამ იქ ლაფანი აღარ არის, ალბათ 3-4 ათასი წლის წინათ მოისპო. თქვენ გადმოსჭე-
რით სამგორის ველი. ეს ის ველია, სადაც ვახტანგ გორგასალმა სამკვდრო-სასიცოცხლო
ომი გადაიხადა ირანელ დამპყრობლებთან. ლეგენდა ამბობს, რომ ვახტანგ მეფეს ჯაჭვის
პერანგი დახეოდა იღლიაში; მისმა მეაბჯრემ, რომელიც თურმე ირანელი იყო, ეს აც-
ნობა მტრის სარდალს. მეორე დღეს, ბრძოლაში, ვახტანგი იღლიაში დაიჭრა. მართა-
ლია, გაიმარჯვა, მაგრამ ამ ჭრილობამ გადაიტანა და გარდაიცვალა უჯარმის ციხეში.

როგორც ჩანს, სამგორის დიდი ნაწილიც ტყით ყოფილა დაფარული. ვაზიანს რომ
ამოსცდებით, ხევებში ახლაც ჩანს ბუჩქნარი; გარდა ძეძვისა, იქ არის თელა, მუხა,
ჯაგრცხილა. სამგორაკთან რომ შორიდან მოჩანს ბერყენები, ესეც ტყის ჯიშია, ოღონდ
ნათელი ტყისა. აი, კიდევ რას ამბობს ვახუშტი:

„არამედ არს ესე მარტყოფი ვენახოვანი, ხილიანი და ყოვლითა ვითარცა საგუ-
რამო, ჰავითა მშვენი. ხოლო საცხენისის და ლოჭინის სამხრით არს სამგორის ველი
და ჩადივარი, და სამგორს უწოდებენ სამის გორისათვის, რომელი არს ველსა სწო-
რესა ზედა. ბალახოვანი და უწყლო სათისჭალამდე“.

დღეს კი სამგორი სარწყავი არხებითაა დაქსელილი. ამ არხებისათვის ივრიდან
გამოიყვანეს მთავარი არხი. სამ ადგილას (უჯარმასა და წალმიანს შორის) არხი მთაში
გვირაბით გადის. არხს რომ წყალი არ დააკლდეს, ივრის ხეობაში, ფშავში, უზარმაზარი
წყალსატევი გააკეთეს, რომლის სიგრძე ათ კილომეტრზე მეტია. ამ წყალსატევში სარ-
წყავი წყალი მარაგდება. თბილისთან, სამი ტბის ნაალაგევში, „თბილისის ზღვა“ გაი-
მართა, ესეც ხომ წყლის მარაგია. სამგორის არხის გაყვანა პირველი არაა. ამბობენ,—
ჯერ კიდევ თამარ მეფის დროს გაუყვანიათ არხი არაგვიდან და სამგორს ისე რწყავ-
დნენო. ჟამთა სიავემ ეს არხი მიწასთან გაასწორა „გამოსვლასა ბერქასსა“, ლენგ-თემუ-
რისა, შაჰაბასისა...

ეროვნული ბიბლიოთეკა



მეთვრამეტე საუკუნეში ერეკლემ დაიწყო არხის გაყვანა. შვილს სწერდა, ალექსანდრეს: „მუშა დღეში სამ შაურსა მთხოვს, მაგდენი საიდან ვიშოვო?“. როგორც ჩანს, ვერ დაამთავრეს.

მეცხრამეტე საუკუნეში, ვორონცოვის დროს, არხი გამოუყვანია ინჟინერ ბაგრატიონს; ამ ამბის აღსანიშნავად ობელისკიც დაუდგამთ სამგორში. სართიჭალამდე ნაარხალი ოდნავ ეტყობა ახლაც.

1950 წელს კი სამარადჟამოდ ეწვია ივრის წყალი სამგორს.

— სამგორი ალბათ ამ გორებისათვის დაერქვა,—დაასკვნა ვახტანგმა.

— ეს გორები დიდხანს ბუნებრივი ეგონათ. 1950 წელს ერთი მათგანი გათხარეს და აღმოჩნდა, რომ იგი სამარხი ყორღანი ყოფილა. ყორღანის შუაგულში რიყის ქვის ხორა იყო, მის ქვეშ კი — ხის სახლი. მასში ჩონჩხები აღმოჩნდა, რომელიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე 900—1000 წლის წინანდელი უნდა იყოს; ყოველ შემთხვევაში, ძალიან ძველია და ჯერ კიდევ მუშაობენ მისი რაობის ზუსტად დადგენისათვის.

ხალხში კი ლამაზი ლეგენდაა. ერთ ქალს ორი ვაჟკაცი ეტრფოდა თურმე. „მე შუა მინდორში დავდგები, თქვენ გამოიქცევით და, ვინც პირველი მოირბენს, იმას გავყვებიო“,— უთქვამს ქალს. ხედავს, რომ ერთი, ვინც მასაც სურდა, დაეცა, არასასურველი კი უახლოვდება, თვითონაც მოწყდა ადგილიდან და გაიქცა. ეს მეორე ვაჟკაციც დაეცა. ქალი კი უპირობისათვის ღმერთმა გააქვავა და სამივეზე შემდეგ თითო გორაკი აღმართა.

— აბა, ჩამოდით, არ გეყოთ?!—დაუძახა შვილებს გიორგიმ.

— მამონტის ნამარხებს ვნახავთ?

— ნაკრძალში გავივლით თუ არა?—დააყარეს შეკითხვები ბიჭებმა.

— ეგ ძია პავლემ იცის!—აირიდა პირდაპირი პასუხი გიორგიმ. ამ დროს, ივრის პირიდან ორი შავტუხა ბიჭი მოიჭრა. ერთს ზურგზე კოხტა კოკოზა* წამოეკიდა, მეორეს კი მოსაკიდი**.

— აი, ჩემი გიჟებიც,—თქვა პავლემ და თავზე ხელი მოუთათუნა ბიჭებს, რომლებიც გვერდით ამოუდგნენ.

— რასა გევხართ, ბიჭო, ეგრე ცუდმავალა უნდა იყოთ? ბებოს როგორ გადაურჩებით, ჰა?

მართლაც, ორივე სულ სველი იყო, თუმცა რა,—ტრუსების მეტი არაფერი ეცვათ. ტირიფის ჯოხზე ასხმული მურწა და ციმორი ისე ამაყად ეჭირათ, გეგონება ამირან დარეჯანისძე დაუტყვევებიათო.

ერთმა ვახტანგს, მეორემ ერეკლეს გაუწოდა თევზის გალები. მათაც მხიარულად მიიღეს და, ყველანი ნელი ნაბიჯით გაუყვნენ სართიჭალისკენ.



მთის წინა კალთებს რომ გახედეს, გიორგის თავში გაუელვა: „ჩვენი ხალხი მთის ძირას სახლდებოდა, სადაც ჯერ კიდევ მაგარი ტყე იყო. აი მელაანი, კაჭრეთი, მანავი, თოხლიაური, მარიამჯვარი, ხაგარეჯო, ნინოწმინდა, პატარძეული, ხაშმი, მარტყოფი, ნორიო... ქართლშიც ასეა. წინ მინდორი იყო, ჯალაბს ვერ ანდობდენ ღია ადგილს; მაგრამ არ დაინდო ავბედობამ. მთელი გარეკახეთი გადაასახლა შაჰაბაზმა ფერეიდანში. დღეს ფერეიდანის სოფლებს აქაური სახელები ჰქვია თურმე: მარტყოფი, ნორიო, პატარძეული“...

— აქეთ, გიორგი!—გასძახა პავლემ ბილიკს ამცდარ გიორგის.

---

* კოკოზა—თევზის საჭერი, პირშექცეული გოდორია, გრძელი.
** მოსაკიდი—პატარა გოდორი.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# სადაც უნდა ვიყო

ქ. გოგიაშვილი

სადაც უნდა ვიყო,
მთაში, ზღვაში, ბარად,
ერთი სიტყვა მახსოვს,
მეხსომება მარად.

ყველა ოჯახისთვის
დგას ბურჯად და ფარად,
მტრების შესამუსრად,
ჩვენდა გასახარად.

გვხიბლავს მისი ზეცა
ცხრათვალა მზის დარად,
ბარშიც ლამაზია,
მთაზეც გადმომდგარა.

სადაც უნდა ვიყო,
მთაში, ზღვაში, ბარად,
საქართველო ჩემი
მეყვარება მარად.

# ჩვენდა საბედნიეროდ

ო. შალამბერიძე

რით ვამაყობთ?
მაღალია
პიონერის ღირსება,
ქუჩაა თუ ბაღნარია—
სიხარულით ივსება;
მკერდზე გვაწვიმს
მზის სხივები
მოოქროვილ ისრებად,
ალისფერი ყელსახვევი
ჩვენს გულს ეგიზგიზება.

რა გვახარებს?—
ეს თუ გიკვირთ,
სხვა რა დაგვეჯერება?—
ორდენოსან რესპუბლიკის
შენება და მშვენება;
ღრმად გვაქვს გულში
ყველას, ყველას
ნათლის სვეტად ჩადგმული
ენა—მზე და ენა—თაფლი
დედა-ენა ქართული

რით ვამაყობთ?—
სწავლა,
შრომა
ხალისს ჰმატებს სიცოცხლეს,
თითქოს ცელქი წყაროები
ხევ-ხევ მოკისკისობენ...
ქართულ ჩაის,
ქართულ ფოლადს
ცხრა ზღვის გაღმაც იცნობენ;
ისე მაღლა დავნავარდობთ,
ფიქრიც ვერ გაგვისწორდეს!..

რა გვახარებს?—
ჩვენს დროშაზე
წაიკითხეთ ხმამაღლა;
ეს ცა მარად ენთოს ასე,
ჩვენც ვიაროთ ამაყად;
ვნახოთ, ვნახოთ,
როგორ შვენის
მთებს,
ჭალებს და ჭიუხებს
მზისფერი და ოქროსფერი
ბარაქა და სიუხვე.

რით ვამაყობთ?—
პიონერის
პირნათელი პირობით,
რომ მამული ვასახელოთ
სწავლითა და გმირობით;



დე, მშვიდობის კოცონებმა
მუდამ აგრე იელვოს,
და გრგვინავდეს სიმღერები
ჩვენდა საბედნიეროდ.

მხატვარი დ. ხარაფიშვილი.




ევგენი მაჭავარიანი

მხატვარი ვაჟა მელიქიშვილი

# ოპერის ბიოგრაფია

ოპერას — მუსიკალური ხელოვნების ესოდენ პოპულარულ და საყვარელ ჟანრს — დიდი ხნის ისტორია აქვს. მისი „დაბადება“ დათარიღებულია 1597 წლით. ამ წელს, იტალიის ქალაქ ფლორენციაში, ტრადიციული საშემოდგომო კარნავალის დროს, მდიდარი არისტოკრატის გრაფ ბარდის სასახლეში დაიდგა კომპოზიტორ ჯაკოპო პერისა და პოეტ ოტავიო რინუჩინის „დაფნა“, — „ფავოლა პერ მუსიკა“, ანუ — ამბავი მუსიკის თანხლებით.

ევროპის კულტურის ისტორიის იმ მონაკვეთს, როდესაც მოწინავე ხელოვანებმა გაკაფეს ახალი გზა, ახალი ხელოვნება უწოდეს. მუსიკალური თეატრი იმ პერიოდის ხელოვნების ერთ-ერთ ახალ სიტყვას წარმოადგენდა. რა თქმა უნდა, ჩვენს თანამედროვე საოპერო სპექტაკლს არაფერი საერთო არა აქვს იმ შორეულ დროში მუსიკის მოყვარულთა მიერ დადგმულ პირველ მუსიკალურ წარმოდგენასთან. სასახლის ერთ-ერთ დარბაზში მოწყობილ სცენაზე სულ რამდენიმე მომღერალი გამოდიოდა; დღევანდელი ორკესტრის ფუნქციას ასრულებდა იქვე, სცენის გვერდით მოთავსებული პატარა ანსამბლი, მსმენელთა რაოდენობაც საკმაოდ შეზღუდული იყო. ამ პირველ ოპერას არაფერი საერთო არ ჰქონდა ძველ ბერძნულ დრამასთან, თუმცა ავტორების მიერ სწორედ ეს უკანასკნელი იყო მიჩნეული ერთ-ერთ იდეალად ახალი ფორმის შექმნისათვის. გავიდა არა ერთი ათეული წელიწადი, საუკუნეც კი, ვიდრე ვიწრო არისტოკრატიულ წრეში შობილმა მუსიკალურმა წარმოდგენამ მართლაც მიიღო ანტიური თეატრის მსგავსი მნიშვნელობა და შესაფერისი ადგილი დაიკავა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, გახდა ნამდვილი დემოკრატიული ხელოვნება — ყველასათვის გასაგები, მისაწვდომი და, ამავე დროს, ღრმა იდეური შინაარსის გამომხატველი. ხელოვნების ამ ფორმის სახელწოდებამ საკმაო ევოლუცია განიცადა: „ფავოლა პერ მუსიკა“ — ამბავი (ან ზღაპარი) მუსიკის თანხლებით; „დრამა პერ მუსიკა“ — დრამა (წარმოდგენა) მუსიკის თანხლებით; „ოპერა პერ მუსიკა“ — ე. ი მოქმედება მუსიკის თანხლებით და, ბოლოს, პირდაპირ, შემოკლებულად — „ოპერა“. დღეს ჩვენ ხშირად არც გვახსოვს ამ სიტყვის თავდაპირველი მნიშვნელობა. მაგრამ ოპერის ყველაზე მნიშვნელოვან თვისებას სწორედ მოქმედება წარმოადგენს; მასში შერწყმულია მუსიკა, პოეზია, სახვითი ხელოვნება, ქორეოგრაფია...

მაგრამ, ვიდრე ჩვენ ვილაპარაკებდეთ თანამედროვე ან თუნდაც კლასიკურ ოპერაზე, დავუბრუნდეთ კვლავ ისტორიას. ოპერა ჩამოყალიბდა იტალიაში, იქვე მიიღო „ნათლობა“ და აღიარება. მაგრამ მის გენეოლოგიას თუ გავყვებით, იგი შორეულ წარსულში წაგვიყვანს. არსებითად, ოპერის პირველ წყაროს წარმოადგენდა პირველყოფილი ადამიანის სულიერი ცხოვრების ის მიამიტი გამოვლინება, როდესაც მთელი ოჯახი ან თემიც კი ზეიმობდა ნადირობიდან დაბრუნებას ან უხვი მოსავლის მიღებას, ადიდებდა თავის კერპებს და ღვთაება-მფარველებს. ადამიანის სულიერი სამყაროს ამ გამოვლინებამ მეცნიერებაში „სინკრეტული ხელოვნების“ სახელწოდება მიიღო. სიტყვა „სინკრეტული“ ნიშნავს შერწყმულს, განუყოფელს. მართლაც, აქ განუყოფელი იყო ცეკვა, სიმღერა, მუსიკა, სიტყვა, ხშირად იყენებდნენ განსაკუთრებულ ნიღბებს, ტანსაცმელს, და რაც მთავარია, ეს ყველაფერი ყოველთვის რაიმე კონკრეტულ შინაარსს, მოქმედებას გამოხატავდა. ხალხმა ფაქიზად შემოინახა სინკრეტული ხელოვნების სხვადასხვა ფორმები (მრავალი მაგალითი გვხვდება ქართული ხალხური შემოქმედების ისტორიაშიც — სახიობა, ბერიკაობა, ყეენობა, — სწორედ ეს არის „მოქმედება მუსიკის თანხლებით“).

„მოქმედებას მუსიკის თანხლებით“ წარმოადგენდა ანტიური ტრა-



გედია, — აქ იყო სოლისტები, გუნდი, ორკესტრი; შუა საუკუნეებში ქრისტიანობამ უმალვე მიმართა ამ ფორმას და ოსტატურად გამოიყენა მისი მრავალი შესაძლებლობა. საეკლესიო წარმოდგენაში (ე. წ. „ლიტურგიულ დრამაში") შეიცვალა გმირები და ნიღბები, ხოლო ქორუმის ადგილი მღვდელმა დაიკავა. თეატრი და ყოველგვარი სხვა საერო სანახაობა ეკლესიის მიერ აკრძალული იყო. მაგრამ უბრალო ხალხი, რომელსაც არასდროს არ აკლდა იუმორის გრძნობა, თამამად გადააკეთებდა ხოლმე საეკლესიო დადგმების შინაარსს. ევროპის ქალაქების მოედნებზე რელიგიური ტექსტები სულ სხვა ყაიდაზე იმღერებოდა, იმართებოდა პაროდია-მიბაძვა რელიგიური შინაარსის წარმოდგენისადმი, სადაც ანგელოზის როლში გამოჰყავდათ... ეშმაკი! XIV საუკუნეში, ლათინურ ენაზე დაწერილ საეკლესიო საგალობლებისაგან განსხვავებით, იტალიის საერო მუსიკაში წარმოიშვა და განვითარდა ე. წ. მადრიგალი — „სიმღერა დედა-ენაზე". თავდაპირველად ეს იყო უბრალო, როგორც წესი, სატრფიალო შინაარსის სიმღერა, რომელსაც ორ ან სამ ხმაზე მღეროდნენ. მრავალხმიანი სიმღერის ამ ფორმამ დიდი პოპულარობა მოიპოვა იტალიის გარეთაც. მაგრამ მადრიგალმა სწორედ იტალიაში შეასრულა მომავალი ოპერის „ლაბორატორიის" როლი, — იცვლებოდა მისი შინაარსი, იზრდებოდა შემსრულებელთა რიცხვი. სულ უფრო ხშირად მადრიგალი იყო მუსიკალური დიალოგი, შემდგომ კი მასში უკვე რამდენიმე „მოქმედ პირთა" ამბავიც გადმოიცემოდა. საჭირო იყო სცენა, რათა ეს ამბავი „მუსიკალური მოქმედებით" შეესრულებინათ. სწორედ ასე იქცა გრაფ ბარდის სასახლის დარბაზი სცენად.

ოპერა დაიბადა არისტოკრატის სასახლეში. მაგრამ მას (ოპერას) კარგად ახსოვდა თავისი წარსული, და სულ მალე ეს ჟანრი უკვე ვეღარ ეტეოდა სასახლეების კედლებში. მხოლოდ ორმოცი წელიწადი დასჭირდა მას ფართო სარბიელზე გამოსასვლელად — ფლორენციას მიჰყვა ნეაპოლი, რომი, ვენეცია... შემდეგ — საფრანგეთი, ინგლისი... ამ ოთხიოდე ათეული წლის განმავლობაში მეტნაკლებად ცნობილი თითქმის ყველა კომპოზიტორი მიმართავს ამ ახალ ჟანრს, იწერება უამრავი საოპერო ნაწარმოები.

XVII საუკუნის ოპერების შინაარსისათვის, როგორც წესი, მიმართავდნენ მითოლოგიურ ან ძველ ისტორიულ სიუჟეტებს. ხშირად რამდენიმე კომპოზიტორი ერთსა და იგივე შინაარსს იყენებდა. ანტიკურმა მითმა ორფეოსზე, რომლის სახელს ძველი ბერძნები მუსიკის წარმოშობას უკავშირებდნენ, ხუთჯერ შთააგონა იტალიელი კომპოზიტორები XVI საუკუნის პირველ ნახევარში. მაგრამ ერთი და იგივე შინაარსის სხვადასხვაგვარ მუსიკალურ გადმოცემას განაპირობებდა არა მარტო კომპოზიტორის ინდივიდუალური თვისებები, არამედ, ხშირად, ამა თუ იმ ქალაქის მუსიკალური და საზოგადოებრივი ტრადიციებიც კი. ასე მაგალითად, ფლორენციის საოპერო სკოლას (ამ შემთხვევაში — ჩამოყალიბებულ მუსიკალურ მიმართულებას) ახასიათებდა პოეტური ტექსტის ხაზგასმა; ვენეციაში — იმ დროის ევროპის უმნიშვნელოვანეს სავაჭრო ნავსადგურში — ოპერის ხალხურობის მისაღწევად აქცენტირებული იყო სანახაობით-საწყისი მხარე; რომში, რომელიც კათოლიკური ეკლესიის ცენტრსა და დედაქალაქს წარმოადგენდა, მუსიკალურ თეატრში წინა პლანზე წამოწეული იყო რელიგიური შინაარსი. ამ პერიოდში აქ იწერებოდა ოპერები საეკლესიო სიუჟეტებზეც კი; ნეაპოლში განსაკუთრებულ პატივს სცემდნენ ოპერის ვოკალურ მხარეს, კერძოდ — სიმღერას. სწორედ ნეაპოლში ჩაისახა ოპერა-სერია, ანუ „სერიოზული ოპერა", რომელშიც შემდგომ თავისებური კანონზომიერებანი ჩამოყალიბდა, მათ შორის, ცალკე მუსიკალური ნომრების — არიების ფორმები: ტირილის არია, შურისძიების არია, სიყვარულის არია... აქ მთავარი იყო კონკრეტული განწყობილების მუსიკალური გადმოცემა. შემდგომ ამ ტრადიციამ თავისი მავნე თვისებებიც გამოამჟღავნა — ზოგიერთი კომპოზიტორი, მსმენელთა დაბალი გემოვნების დასაკმაყოფილებ-





ლად, ოპერებს წერდა წინასწარ შედგენილი „რეცეპტების“ მიხედვით. არავითარი მნიშვნელობა არ ეძლეოდა შინაარსს, მოქმედებას, ოღონდაც ტენორს ან სოპრანოს მღერადსა და ლამაზ არიაში ოსტატურად გადმოეცა ათასჯერ განცდილი და გაგონილი „განწყობილება“. მანამდე კი ოპერა, როგორც იტალიის, ისე ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში ითვისებდა ყოველთვის ახალ, ამა თუ იმ ქვეყნისათვის დამახასიათებელ ეროვნულ თავისებურებას. იქმნება ნაციონალური საოპერო სკოლები.

გაივლის მხოლოდ ერთი საუკუნე და, ოპერის ტრადიციული ფორმები უკვე ჩამორჩება მზარდ საზოგადოებრივ ინტერესებს. საოპერო თეატრების დარბაზებში სულ უფრო მეტ ადგილს იკავებს უბრალო ხალხი, რომლისთვისაც ბერძნული მითოლოგიის გმირები სრულიად უცნობნი არიან, ხოლო მეფეები და რაინდები სცენაზე კი არა, ცხოვრებაშიც მობეზრდათ. მთელს ევროპაში მზარდმა ანტიფეოდალურმა მოძრაობამ განაპირობა საოპერო სპექტაკლების შინაარსში ახალი თემების შეჭრა, ახალი გმირების გამოყვანა. ასე წარმოიშვა (პირველად ისევ იტალიაში) „ოპერა — ბუფა“, რომელმაც ძველი ოპერის მაღალფარდოვან სიუჟეტებს დაუპირისპირა ყოველდღიური საყოფაცხოვრებო ამბავი, მედიდურ რაინდთა და მითოლოგიურ გმირთა დაუჯერებელ თავგადასავლებს — მსახურებისა და მოჯამაგირეების ოინები, მაღალფარდოვან და გაბღენძილ მელოდიებს — მხიარული სიმღერა, ზოგჯერ — ქუჩის „კუპლეტებიც“ კი! 1752 წელს იტალიელ მომღერალთა ჯგუფმა პარიზში დადგა პირველი „ოპერა—ბუფა“ — ჯოვანი პერგოლეზის „მსახური ქალბატონი“. გაჩაღდა ნამდვილი ომი, — მთელი პარიზი ორ ბანაკად გაიყო. ერთის მეთაურნი — დიდრო, რუსო, გრიმი — მხარს უჭერდნენ ამ ახალ მიმდინარეობას, იცავდნენ კომიკური ოპერის (ამ შემთხვევაში რეალისტური ხელოვნების) პრინციპებს, მიესალმებოდნენ იტალიურ საყოფაცხოვრებო ოპერის უბრალოებას, მუსიკალური ენისა და სცენიური დადგმის ბუნებრიობას, ხოლო მეორე ბანაკი — პარიზის არისტოკრატია — იცავდა დრომოჭმულ, მაღალფარდოვან მელოდიებს. მართალია, ამ ომის ძირითად იარაღს პრესა წარმოადგენდა, მაგრამ ხშირად საგაზეთო კამათი არ აკმაყოფილებდა მოწინააღმდეგეებს და სპექტაკლების დროს ისინი მიმართავდნენ ერთობ აქტიურ საშუალებას — მუშტებს! ასეა თუ ისე, მუსიკის ისტორიაში „ბუფონების ომის“ სახელწოდებით ცნობილმა ბრძოლამ საოპერო ჟანრის, და საერთოდ, რეალისტური ხელოვნების შემდგომ განვითარებაში უდიდესი როლი შეასრულა. ორმა უდიდესმა მუსიკოსმა იმავე საუკუნის დამლევს დაასრულა საოპერო რეფორმა, მათ ე. წ. „განმანათლებლობის ხანის“ მოწინავე იდეები განახორციელეს თავიანთ შემოქმედებაში. ეს კომპოზიტორები იყვნენ ქრისტეფორ გლიუკი და ვოლფგანგ მოცარტი. პირველმა, უარყო რა საკარო-არისტოკრატიული საოპერო თეატრის ესთეტიკა და ცრუ მედიდურობა, შექმნა სამოქალაქო პათოსით გაჯერებული, ჰეროიკულ-მუსიკალური ტრაგედია. მოცარტმა კი განსაკუთრებული ოსტატობით გამოიყენა მისი თანამედროვე მუსიკალური თეატრის ყველა მიღწევა და განვითარების ახალი გზები დასახა. XIX საუკუნისათვის საოპერო თეატრი მოწინავე საზოგადოებრივი იდეების სულ უფრო მნიშვნელოვანი გამომხატველი ხდება, სულ უფრო დემოკრატიულ ხასიათს ღებულობს. ამიერიდან იწყება საოპერო ჟანრის კლასიკური პერიოდი. მის განვითარებაში ორი ყველაზე მნიშვნელოვანი საწყისია: ერთის მხრივ — მზარდი ეროვნული სახე, ხოლო მეორეს მხრივ (1789 წლის საფრანგეთის რევოლუციიდან მოყოლებული) ჰეროიკული, პატრიოტული, ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეები.

XIX საუკუნეში ოპერა ცხარე კამათის საგანი გახდა. საოპერო მუსიკა თავისებურ რევოლუციურ იარაღადაც კი იქნა აღიარებული, განსაკუთრებით — უცხოელ დამპყრობთა მიერ დამონებულ ქვეყნებში. ფრანგი კომპოზიტორის დანიელ ობერის ოპერა „ფენელა“, რომელიც XVII საუკუნეში ესპანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ნეაპოლელ მეთევზეთა აჯანყებას ასახავს, 1830 წელს დაიდგა ბელგიაში. ამჯერად გაჩაღდა არა საგაზეთო, არამედ ნამდვილი, განმათავისუფლებელი ომი, რომლის შედეგად ბელგიამ ბრძოლით დაიბრუნა დამოუკიდებლობა. ეს ამბავი იმდენად მოულოდნელი იყო, რომ მეფის რუსეთმა აკრძალა ამ ნაწარმოების დადგმა კოლონიებში, ხოლო ავსტრიის მონარქიამ — უნგრეთსა და იტალიაში. იტალიაში, ჯუზეპე ვერდის ოპერების სპექტაკლებზე, არაერთხელ გამართულა მანიფესტაცია, პოლიტიკური გამოსვლები, ავსტრიელ დამპყრობლებთან შეტაკება... ერთი სიტყვით, ოპერამ მიიღო ახალი ნათლობა, დემოკრატიული ხელოვნების მნიშვნელობა! ოპერა, რომელშიც შეიძლებოდა კონკრეტული სახეებისა და იდეების საშუალებით გადმოცემულიყო მრავალფეროვანი შინაარსი, იმ დროისათვის ყველაზე პოპულარულ ჟანრად იქცა. ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში სწორედ ამ დროს ეყრება საფუძველი ახალ, ეროვნულ საოპერო ტრადიციებს. კერძოდ, რუსეთში გლინკას, ჩაიკოვსკის, მუსორგსკის და რიმსკი-კორსაკოვის ოპერებში დამუშავებულ იქნა პატრიოტული თემები, აისახა მეფის რუსეთის სინამდვილით დამონებული პიროვნების ტრაგედია, სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლა.

ჩეხმა ბერჯერიხ სმეტანამ საფუძველი ჩაუყარა ჩეხურ მუსიკალურ თეატრს. პოლონეთში ეროვნული ოპერის ახალი გზები დასახა სტანისლავ მონიუშკომ, უნგრეთში — ფერენც ერკელმა... მათ სრულიად ახალი თვალით შეხედეს ხალხურ სიმღერას, აღიარეს იგი ეროვნული მუსიკის ნიადაგად და საყრდენად.

რა მოხდა საქართველოში? — ზაქარია ფალიაშვილი, ნიკო სულხანიშვილი, დიმიტრი არაყიშვილი და მელიტონ ბალანჩივაძე სწორედ ეროვნული საოპერო ნაწარმოებების შექმნაში ხედავდნენ თავიანთ მისიას, ნაწარმოებებისა, რომლებშიც აღიბეჭდებოდა ჩვენი ხალხის სულიერი სიმდიდრე, მისი მუსიკალური გენია, მისი სულისკვეთება.

ასეთ ნაწარმოებად იქცა ზაქარია ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“ — ქართული მუსიკის უძვირფასესი განძი.

საოპერო ჟანრის სპეციფიკაზე, მის ფორმებსა და თვისებებზე შემდეგ წერილში გვექნება საუბარი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# იდუმალი ორეული

რევაზ კახიძე
თამაზ კიკნაძე

მხატვარი ჯემალ ლოლუა.

## ლაბირინთში

ტელეფონის წკრიალმა გამომაღვიძა. ყურმილის საშუალებით გავიგე გათენება, — ზევიდან დილა მშვიდობისა გვისურვეს. მარადიული სიბნელით მოცულ მიწისქვეშეთში მოხვედრილი ადამიანი დროის შეგრძნებას კარგავს. ვერ გრძნობ, რამდენ ხანს გძინავს, რამდენ ხანს მიხოხავ ვიწრო ხვრელებში. აქ, დრო დაძლეული სიღრმით განიზომება.

აღარ მახსოვს, რამდენ ხანს ვებრძოდით პირქუშ უფსკრულს. ხან დახრილ გვირაბებს მივყვებოდით, ხანაც ციცაბოდ ჩაქცეულ ჭებში ჩავდიოდით. ერთ-ერთი ღრმა შახტის დაძლევის შემდეგ, გზა მხოლოდ ორმა გავაგრძელეთ. გზაზე დავტოვეთ ჯუმბერი და ლევანი, რომლებიც გაჭირვების შემთხვევაში უნდა მოგვხმარებოდნენ. მე და დათიკო კი წინ წავედით. ტელეფონის კაბელი გამოილია, — კავშირი ჩვენს მაშველ ჯგუფთან გაწყვეტილი იყო. საკონტროლო საათი დავნიშნეთ, — თუ დათქმული დროისათვის არ დავბრუნდებოდით, ამხანაგები ჩვენს საძებრად წამოვიდოდნენ.

ჩვენს წინ გვირაბს დაელო ხახა. ერთმანეთს გადავხედეთ, გავიღიმეთ და უსიტყვოდ განვაგრძეთ გზა. არც ერთმა არ ვიცოდით, რას გვიმზადებდა ფათერაკებით სავსე მიწისქვეშეთი. თან მიგვქონდა შოკოლადის, ორცხობილას და მშრალი სპირტის მარაგი. სიჩუმეს მხოლოდ ჩვენი ფეხის ხმა არღვევდა, მაგრამ თუ შეჩერდებოდი და სმენად გადაიქცეოდი, გაიგონებდი შორეულ ყრუ გუგუნს თუ ჩხრიალს. ჩვენ ჯერ არ ვიცოდით, საიდან მოდიოდა ეს ხმები, ან რისი ხმა იყო, მაგრამ სპელეოლოგის ალღოთი ვგრძნობდით, რომ მიწისქვეშა მდინარის თუ ჩანჩქერის კალაპოტისკენ მივდიოდით.

უეცრად გვირაბი გაფართოვდა და სამ ტოტად გაიყო. ჩვენ ინსტიქტურად მარჯვენა განშტოებას გავუყევით, რომელსაც სიღრმისკენ მეტი დახრილობა ეტყობოდა, მერე გზა ოდნავ ზევით შეუყვა, მოუხვია და ისევ თავქვე დაექანა. მოსახვევები ბევრი გვხვდებოდა. დრო შეუმჩნევლად გადიოდა. ფეხდაუკარები მიწისქვეშეთი ანდამატური ძალით გვიზიდავდა სიღრმისკენ, უჩინარი სამალავებისაკენ, და ჩვენც დაგვავიწყდა დაღლა. ჯერ ასეთი ლაბირინთი არსად გვენახა: ფარნების შუქზე ელავდნენ გვირაბთა კლდოვანი კედლები და თაღები, კონწიალობდნენ ჩამოსავარდნად გამზადებული ვეება ლოდები.

ვინ იცის როდემდე გაგრძელდებოდა ეს, დათიკოს რაღაც რომ არ მოსჩვენებოდა. იგი შედგა, ირგვლივ მიმოიხედა და მითხრა:

— მგონი, ისევ იქ მოვედით.

— რას ამბობ?

კარგად მოვათვალიერეთ გარემო და დავრწმუნდით, რომ ისევ გზაჯვარედინზე ვიყავით, გვირაბი სამად იტოტებოდა. ჩვენ გამოცდილებას ანგარიშმიუცემლად ვენდეთ და სვლიგეზს არ აღვნიშნავდით. ესეც არ იყოს, ასეთ რთულ ლაბირინთს არ ველოდით. ახლა სხვა განშტოებაში გადავედით და გზა განვაგრძეთ. ხმაური თანდათან ძლიერდებოდა. ეს იმის მაჩვენებელი იყო, რომ ამჯერად სწორად მივდიოდით. გვირაბმა პატარა დარბაზში გაგვიყვანა.

— დავისვენოთ, — თქვა დათიკომ და ლოდზე ჩამოჯდა.

დარბაზის გრილი ჰაერი მეამა; მეც ლოდზე ჩამოვჯექი და ტკბილ ბურანში გავეხვიე.

— თენგიზ, გესმის, თენგიზ? — ჩამესმა დათიკოს აღელვებული ჩურჩული.

— რა უნდა მესმოდეს?

— ლოდს დაადე ყური, ლოდს.

ცივ ლოდს ყური დავადე და სმენად ვიქეცი.

— გესმის ნაბიჯების ხმა?



* დასას. იხ. „პიონერი“ № 1.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართლაც, რაღაც მსგავსი ხმა მომესმა.

— ჩვენები ჯერ არ ჩამოვიდოდნენ, საკონტროლო დრო შორსაა, — ვთქვი და დათიკოს საათი ვუჩვენე. — წყლის ხმაური იქნება...

— აი, კარგად დაუგდე ყური, — დათიკო ლოდს ყურს არ აცილებდა, მაგრამ ისედაც კარგად ისმოდა უცნაური ნაბიჯების ხმა.

სიბნელეს მივაშტერდი. სმენა დავძაბე. ფარნით ვანათებდი დარბაზს, მინდოდა გამეგო, რომელი მხრიდან მოდიოდა ეს უცნაური ხმები. ამ ყოფაში ათიოდე წუთი გავიდა და ნაბიჯების ხმა სულ ახლოს გაისმა: მარჯვენა გვირაბიდან ვიღაც თუ რაღაც მოდიოდა ჩვენსკენ, შეჩერდებოდა, დააყოვნებდა, მერე ისევ წამოვიდოდა...

„ვინ უნდა იყოს? ნუთუ ჩვენი ამხანაგები არიან? ასე რომ იყოს, ხმას ამოიღებდნენ, ან სტვენით მოგვცემდნენ ნიშანს".

წამოვდექი და სიბნელეს გავძახე:

— ჰეი, რომელი ხარ!

ამ დროს დათიკომ თავისი ფარანი დარბაზის სიღრმისაკენ მიანათა, უცბად ადგილს მოსწყდა და გაექანა...

მე გავიგონე აჩქარებული ნაბიჯების ხმა, რომელიც დათიკოს ნაბიჯებს ფარავდა. ეს რაღაც მძიმე ნაბიჯების ხმა იყო, — თითქოს ვეება კაცს ლითონის ფეხსაცმელი ეცვა.

დათიკოს დავეწიე. იგი ერთ ადგილზე გაშეშებულიყო და დაძაბულად იყურებოდა სიბნელისაკენ.

— რა დაინახე? — ვკითხე დათიკოს.

— ავსული... კარგად დავინახე... ოთხკუთხა თავი ჰქონდა და ზედ ერთი რქა...

ავსულებისა არაფერი მწამდა, მაგრამ დათიკოს შეშინებულმა და დაბნეულმა სახემ მეც შემაკრთო.

— როგორ ფიქრობ, რა უნდა ყოფილიყო?

— ეშმაკმა დალახვროს, რა ვიცი, თავი სიზმარში მგონია. ტყისმჭრელთა ნაამბობი გამახსენდა, — სწორედ ის იყო, იმათ რომ აგვიწერეს...

— ძნელი წარმოსადგენია, ამ უკაცრიელ და ძნელად ჩამოსაღწევ უფსკრულში ცოცხალი არსება ცხოვრობდეს. შეიძლება სადმე ნაპრალი ადის მიწის ზედაპირზე და რაიმე ცხოველი ჩამოვიდა, შენ კი ურჩხულად მოგეჩვენა.

— გაიხსენე ტყისმჭრელთა ნაამბობი. ის „ავსული" სულაც არა ჰგავს ბრიყვ ცხოველს: იპარავს ნაჯახს, ჭრის ხეებს და თავისუფლად ამოდის მიწის ზედაპირზე ამ უღრმესი ლაბირინთიდან... ჩვენ კი გზა აგვერია. გამოდის, რომ ის ჩვენზე საზრიანია. აქ რაღაც საიდუმლოებაა...

## კოსმოსელთა დარბაზში

პირველი ნაბიჯები გაუბედავად გადავდგით. ჩვენი ქცევა უგუნურებად მეჩვენებოდა. თავის გადარჩენის ნაცვლად, ბავშვურ გატაცებას ვამჟღავნებდით და უცნაური სულდგმულის კვალს მივყვებოდით. არც კი ვიცოდით, რამდენად სახიფათო იყო მასთან შეხვედრა. ჩვენ მხოლოდ ენთუზიაზმით და ფოტოაპარატებით ვიყავით შეიარაღებულნი.

ერთი საათი ვიარეთ. გვირაბის სიღრმიდან წყლის შხუილი გარკვევით გავიგონეთ. გვირაბმა მალე შეგვიყვანა უზარმაზარ დარბაზში. ჩვენი ფარნების სინათლე ვერ აღწევდა დარბაზის კედლებამდე და ჭერამდე. დარბაზის მახლობელი კედლიდან მაღალი ჩანჩქერი ეშვებოდა და მის ჩხრიალს თაღები გრგვინვად აქცევდა. ჩანჩქერი დარბაზის ფსკერში მოზრდილ ტბას ქმნიდა. მოჯადოებულებივით ვიდექით და შევყურებდით ჩაბნელებული თაღიდან მის კამკამა წყალში ჩაშვებულ ვეებერთელა სტალაქტიტებს და წყლის სიღრმიდან ამოღმართულ ვეება სტალაგმიტებს.

წამით „ავსული" გადაგვავიწყდა.

— ეს სტალაქტიტები და სტალაგმიტები ტბაში ვერ გაჩნდებოდნენ. ტბა მერეა გაჩენილი. თავდაპირველად მდინარე იქნებოდა, მისი გასასვლელი ჩამონგრეულ ლოდებს გადაუკეტავს და ტბა გაუჩენია, — ვთქვი და დათიკოს შევხედე.

დათიკო ვერ ძღებოდა ამ ზღაპრული სილამაზის ცქერით. ბუნების ჯადოსნური საჭრეთელით გამოკვეთილი კალციტის მოელვარე სვეტები თვალს გვტაცებდნენ. სადაც კი ფარნის შუქი დაეცემოდა, ყველგან ათინათები აციაგდებოდნენ. დიდებული სანახავი იყო ეს ვეებერთელა მიწისქვეშა სასახლე, — უამრავი ტბა და მძლავრი ჩანჩქერი.

ჩვენ ველარსად დავინახეთ ის უცნაური არსება და არც შევდგომივართ მის ძებნას, — მოქანცულებს ამისი თავი აღარ გვქონდა. ეს საქმე მეორე დღისთვის გადავდეთ.

შევუდექით გამოკვლევას. ვხაზავდით, ვადგენდით გეგმას, ვიღებდით ფოტოსურათებს, ვზომავდით ჰაერის ტემპერატურას, ტენიანობას, წნევას. ჩემი ყურადღება მიიპყრო უცნაურმა ხაზებმა დარბაზის ერთ-ერთ კედელზე. ეს ხაზები ბუნებრივს არა ჰგავდნენ. ახლოს მივედი და... გავხევდი.

— დათიკო! დათიკო! აქეთ! — დავიძახე ნაწყვეტ-ნაწყვეტად, თან თვალს არ ვუჯერებდი: კირქვის კედელზე ამოკვეთილი იყო მარსიანელი ღმერთის გამოსახულება, სწორედ იმ უძველესი დროიდან შემორჩენილი ნახატების მსგავსი, შორეულ აფრიკაში, ტასილის კედლებზე რომ აღმოაჩინეს — ადამიანი ასტრონავტის სკაფანდრში. აქვე ეხატა პლანეტებით გარშემორტყმული მზე, ვარსკვლავმფრენის სიგარისებური სხეული, გაურკვეველი ფორმის გეომეტრიული ფიგურები და აურაცხელი წვრილი იეროგლიფები.

— რას უნდა ნიშნავდეს ეს ყველაფერი? — ხმადაბლა ვუთხარი მოახლოებულ დათიკოს. მან უხმოდ დაათვალიერა ნახატები.

— ვერაფერს გეტყვი. — მერე გაფითრდა, თითქოს რაღაც გაახსენდაო, და შემკრთალი ხმით განაგრძო: — ეს ყველაფერი იმას ნიშნავს, რომ ჩვენი საქმე ცუდადაა. ალბათ მოჯადოებული ვართ, ან ჰალუცინაციები გვემართება.

— რას ამბობ, ჰალუცინაცია რა შუაშია. ფოტოაპარატი მომეცი.

— რაღა ამ დარბაზში მოიყარა თავი ყველა საკვირველებამ? — ცალრქიანი ურჩხული, მარსიანელის გამოსახულება... იქნებ, მართლაც იყვნენ აქ ოდესმე მარსიანელები და ამ კედლებზე დატოვეს თავიანთი სადარბაზო ბარათები, რადგან აქ უფრო კარგად შემოინახებოდა? იქნებ ის ურჩხულიც მათი დატოვებულია? როგორ ფიქრობ, მეტისმეტი არ არის ამდენი სასწაულის ერთად აღმოჩენა?! — გაიკვირვა დათიკომ.

— დაწყნარდი, არავითარ მოჩვენებებს და ჯადოს არა აქვს აქ ადგილი... ყველაფერი რეალურია და ხელშესახები. ჩვენი აღმოჩენით მსოფლიოს გაზეთები აჭრელდებიან...

— აჭრელდებიან, თუ აქედან ცოცხლებმა გავაღწიეთ. ის „ვიღაც" სადღაც აქ არის, ჩვენს გვერდით, და გვითვალთვალებს, რომ დრო შეგვირჩიოს და თავს დაგვესხას.

— არავითარი ურჩხული არ არსებობს, მოგეჩვენა; ეს კი, რასაც ამ კედელზე ვხედავთ, სინამდვილეა.

— საკუთარი თვალით დავინახე. რატომ ივიწყებ ტყისმჭრელთა ნაამბობს? მათი აღწერით სწორედ ასეთი იყო ის

„ღამის სტუმარი". იმათაც ხომ არ მოეჩვენებოდათ? კბილებჩამტვრეული ძაღლი, გაბრტყელებული ქაკანი...

— ეს ყველაფერი დაღლილობისა და შიმშილის შედეგია. მოდი დავისვენოთ, წავისაუზმოთ, გამოვიძინოთ და მერე გავერკვეთ, რა ხდება ჩვენს ირგვლივ.

— რა დამაძინებს, სწორედ ძილში მოგვეპარება...

შემკრთალი დათიკო ძლივს წავიყვანე მშრალი და მყუდრო ადგილისკენ. ტბის ნაპირას დავბინავდით. მე საუზმე გავშალე. დათიკომ ძლივს გადაყლაპა ორიოდე ლუკმა. მერე შეაცია, კბილს კბილზე აცემინებდა. შუბლზე ხელი დავადე — მაღალი სიცხე ჰქონდა. ჩემი საიერიშო კურტაკი დავახურე. დათიკო „ავსულს" ემუქრებოდა, წამოწევას ცდილობდა, მაგრამ ვაკავებდი. ამ ჭიდილში მოიქანცა და ჩაეძინა. მეც გვერდით მივუწექი და ჩავფიქრდი: ჯერ-ჯერობით გამოსავალი არ ჩანდა. პირველად როდი ვხედავდი დაძაბუნებულ კაცს. მიწის ქვეშ, მრუმე სიბნელესა და დუმილში, სადაც ათასი მოულოდნელი ხიფათი გელის, ყველა ადამიანს როდი უძლებს ნერვები... მე ვიცნობდი ბევრ მამაც მოგზაურს, რომელთათვის მწვერვალების დაპყრობა ჩვეული საქმე იყო, არაფრად აგდებდნენ ზვავებსა და სტიქიონებს, არ იცოდნენ რა იყო შიში. მიწისქვეშა უფსკრულებში ჩაშვებისას კი წონასწორობიდან გამოდიოდნენ და, იძულებული ვხდებოდით ისინი ზედაპირზე ამოგვეყვანა. სპელეოლოგებმა ამ მოვლენას „მღვიმის ავადმყოფობა" დავარქვით. დათიკო, მართალია, გამოცდილი სპელეოლოგი იყო, მისთვის არასოდეს უღალატნია ნებისყოფას, მაგრამ ამჯერად არ გაემტყუნებოდა: ამდენი საოცრებისა და მოსალოდნელი ხიფათის წინაშე არც ერთი სპელეოლოგი არ მდგარა ერთბაშად. მეც საგონებელში ჩავვარდი. უნებლიედ გამახსენდა ნუგზარი, ჩვენი პირველი სპელეოლოგი და უცვლელი ხელმძღვანელი. როცა ის მიგვიძღოდა წინ, ყველაფერი კარგად მთავრდებოდა. მას შემდეგ კი, რაც ფეხები დაკარგა და სპელეოლოგიას ჩამოშორდა, როგორღაც ფათერაკებმა დაგვრია ხელი. ჩვენს მდგომარეობაში ნეტა როგორ მოიქცეოდა ნუგზარი?..

ამ ფიქრებში ჩამეძინა...

სიცივემ გამომაღვიძა. როგორც კი ბურანიდან გამოვერკვიე, დაფეთებული წამოვხტი: ფეხებში წყალი შემომდგომოდა. ფარანი ავანთე და მივიხედ-მოვიხედე, დათიკო ვერსად დავინახე. ტბა ადიდებულიყო და ჩვენამდე მოეღწია.

— დათიკო!

ძახილზე მხოლოდ დარბაზის მაღალი თაღები გამომეპასუხა.

მახლობელ ბაქანზე ავფოფხდი და დარბაზის თვალიერება დავიწყე, დათიკოს ვეძებდი. ფარნის შუქი მხოლოდ მდუმარე კედლებსა და სტალაგმიტებს ანათებდა. დარბაზში ბევრი ვიხეტიალე, გავტოპე ცივი წყალი და იმ გვირაბს მივადექი, საიდანაც მოვედით. შემაძრწუნა, როცა წყლით სავსე გვირაბი დავინახე. აქედან გასვლა უკვე შეუძლებელი იყო, წყლის დონე კი სწრაფად მატულობდა.

წყალმა ისე აიწია, რომ დარბაზის კედლებს ვეღარ ვხედავდი. ალბათ მიწისქვეშა მდინარის სავალი გზა სადღაც გადაიკეტა. ჩანჩქერს კი შეუსვენებლივ მოჰქონდა წყლის ახალ-ახალი ჭავლები. ნუთუ დათიკო და ის „ვიღაც" დაიღუპნენ? ძებნის საშუალება არა მქონდა. მეც აღსასრული მიახლოვდებოდა — ცოტა ხნის შემდეგ ჩემი სტალაგმიტიც წყალში შთაინთქმებოდა. გამახსენდა ასე უიღბლოდ დაღუპული სპელეოლოგები. მათი რიცხვი საკმაოდ დიდი იყო.

თითქოს შევურიგდი ბედს. გამოუვალი მდგომარეობა იყო და რა უნდა მექნა? ვიცოდი, ამხანაგები ვერ მოახერხებდნენ შველას. წყლით სავსე მიწისქვეშა ლაბირინთში გზის გაგნება ძალზე ძნელია. როცა წყალი მკერდამდე მომწვდა, თვალები დავხუჭე და ზევით აწეული ხელი, რომლითაც ანთებული ფარანი მეჭირა, დავუშვი, სინათლე ჩაქრა და უკუნეთ სიბნელეში დარჩენილი ველოდებოდი უკანასკნელ წუთს...

უცბად რაღაცამ დაიგრგვინა, დარბაზის თაღები შეაზანზარა და გამაყრუებელმა შხუილმა გამომაფხიზლა. თუმცა ვერ ვხედავდი, მაგრამ ვგრძნობდი, რომ წყალმა დაიკლო, სადღაც გაექანა. არ ვიცი რამდენი ხანი გავიდა, მაგრამ ჩემი წყალშეუვალი ფარანი რომ ავანთე, სიხარულის კანკალმა ამიტანა: წყლის ნაკადები შხუილით მიჰქროდნენ სიბნელისკენ და ჩემს სტალაგმიტს მალე წყალი შემოეცალა. ღრმად ამოვისუნთქე,— წყალი აღარ ზღუდავდა მკერდს... ცოტა ხანს კიდევ დაველოდე და, როცა ტბა თავის ძველ დონეს დაუბრუნდა, წყლისაგან განთავისუფლებულ გვირაბს აჩქარებული ნაბიჯით გავყევი. იმედიც ჩამესახა: იქნებ დათიკომ წყლის ადიდებამდე გააღწია გვირაბიდან და გადარჩა?



## კიდევ ერთი საკვირველება

გვირაბის სიღრმიდან ხმაური მომესმა. მალე გავარჩიე ჩემი სახელი. ამხანაგები მეძახდნენ. გავეპასუხე.

ჩემს დანახვაზე ლაშა პატარა ბავშვივით აზლუქუნდა, ბეჭებზე ხელს მირტყამდა, აქეთ-იქიდან მათვალიერებდა...

— ცოცხალი ხარ, ბიჭო, ცოცხალი ხარ?!

ჯუმბერიც გახარებული იყო, მაგრამ ეჭვის თვალით მიყურებდა...

— ჩვენ უკვე დაღუპული გვეგონე,— თქვა მან ბოლოს.

— მე არა, მაგრამ დათიკო...—აღარ დავამთავრე მე.

— დათიკო ზემოთაა, კარავში.

ახლა მე ავტირდი სიხარულით.

— მაშ, ცოცხალია? გადარჩა?!

— კი მაგრამ, შენ არ გადაარჩინე?

— მე?!

— არაფერი მესმის, — ჯუმბერმა ლაშას მრავალმნიშვნელოვნად გადახედა. — ავიდეთ და ყველაფერი იქ გავარკვიოთ.

როცა მიწის ზედაპირზე ავედით, ლაშა ყვირილით გაიქცა კარვისკენ.

— დათიკო! დათიკო! ნახე, ვინ მოვიდა!

ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა: საძილე ტომარაზე დათიკო იწვა, ფეხზე არტაშანი ედო. რომ დამინახა, წამოწევა სცადა, მაგრამ ტკივილისაგან გაფითრდა და უღონოდ დაეშვა.

— რა დაგემართა, ან როგორ ამოხვედი? — შევეკითხე დათიკოს,

მეგობარმა გაოცებით შემომხედა.

— განა შენ არ ამომიყვანე?

— არაფერი მესმის, ამას სიცხე ხომ არა აქვს კიდევ? — ლაშას გადავხედე.

— სიცხე დილით დაუვარდა, მაგრამ მოტეხილი ფეხი აწუხებს, — მიპასუხა ლაშამ და განაგრძო: — დილით ადრე კარვის წინ ვნახეთ უგონოდ. დარწმუნებულია, რომ შენ ამოიყვანე.

ჯუმბერმა საუზმე შემოიტანა.

— ჯერ ისაუზმე და მერე ვილაპარაკოთ.

როგორც საუბრიდან გამოირკვა, დათიკოს წარმოდგენა არა ჰქონდა, როგორ მოხვდა მიწის ზედაპირზე. მხოლოდ ის ახსოვდა, რომ შუაღამისას გამოეღვიძა, ისევ ის ურჩხული მოეჩვენა, გამოექცა, მაგრამ ორმოში ჩავარდა და გონი დაკარგა. ფეხიც, ალბათ, იქ მოიტეხა.

— დარწმუნებული ვიყავი, რომ შენ ამომიყვანე, მაგრამ უკან ისე როგორ ჩაბრუნდებოდი, რომ ჩვენებისთვის არ შეგეტყობინებინა? — დაამთავრა დათიკომ.

— ჯუმბერმა და ლაშამ ჩასვლა დაიწყეს შენს საძებრად, მაგრამ გზაზე წყალი დახვდათ, რომლის დონე სულ ზევით და ზევით იწევდა. აქვალანგებითაც სცადეს, მაგრამ ისეთ ლაბირინთში მოხვდნენ, უკან ძლივს გამოაღწიეს, — თქვა ზაზამ.

მე დაწვრილებით მოვყევი ყველაფერი თუ არა, დათიკომ შეჰყვირა და წამოწევა სცადა. ზაზამ ძლივს დააწყნარა.

— გეუბნებოდი და არ დამიჯერე. ხომ დადასტურდა ის ამბავი, მატარებელში რომ გვიამბო ყაბალახიანმა. ტყისმჭრელთა ნაამბობიც მართალი გამოდგა. მეც საკუთარი თვალით დავინახე... ალბათ ფეხიც იმან მომტეხა და წყალიც დააგუბა.

მაინც ვერაფერი გამოვარკვიეთ. არ ვიცოდით, ვინ გადაარჩინა დათიკო.

— შენ მაღალი სიცხე გქონდა და არ გახსოვს, ალბათ თვითონ ამოხვედი, — ვუთხარი დათიკოს.

— მოტეხილი ფეხით?! — მკითხა ზაზამ, მაგრამ რა პასუხი გამეცა?..

## სარდაფის საიდუმლო

მთელი დღე თავაუღებლად ვწერდი. ვცდილობდი არ გამომრჩენოდა არც ერთი საყურადღებო ფაქტი. „თავმდაბლად" აღვნიშნე, რომ სპელეოლოგიური საზოგადოების არსებობის მანძილზე ასეთი „უხვმოსავლიანი" ექსპედიცია არ ჩატარებულა. აღმოვაჩინეთ ახალი ვეება უფსკრული! უძველესი და უცნაური კედლის მხატვრობა ითხოვდა სხვადასხვა დარგის სპეციალისტების, არქეოლოგების, ხელოვნებათმცოდნეების მონაწილეობას ახალ, კარგად აღჭურვილ ექსპედიციაში. კედლებზე გამოსახულ იეროგლიფებსა და ნახატებს კაცობრიობის ისტორიის ჯერ წაუკითხავი ფურცელი ვუწოდე. „ავსულზე" არაფერი ვთქვი, რადგან იგი სპეციალურ, ფრთხილ გამოკვლევას მოითხოვდა.

ნასადილევს ნარკვევი მზად იყო, და ჩვეულებისამებრ, ნუგზარის სახლისკენ გავწიე.



ნუგზარს ძალიან გაუხარდა ჩემი დანახვა. მაშინვე ექსპედიციის ამბების გამოკითხვა დაიწყო. ნარკვევი გავუწოდე, — ამაში ყველაფერი წერია, გაზეთის რედაქტორმა დამიკვეთა და ჯერ შენ წაიკითხე-მეთქი. სანამ კითხვას დაიწყებდა, შეწუხებული სახით შემომხედა და მკითხა:

— მართლა, დათიკოს ფეხი როგორ აქვს?

— ფეხი მოტეხილი აქვს, თაბაშირში ჩაუდეს. შენ საიდან გაიგე?

ნუგზარმა არ მიპასუხა. ნარკვევი სწრაფად გადაიკითხა. შიგა და შიგ ეღიმებოდა. მერე მთხოვა:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ამ ნარკვევს ნურავის წააკითხებ და ნურც გამოაქვეყნებ.

— ცუდადაა დაწერილი?

ნუგზარი დაფიქრდა, მერე მისმა სახემ რაღაც გადაწყვეტილება გამოხატა.

— ნარკვევი კარგადაა დაწერილი, მაგრამ... წამომყევი, სარდაფში ჩავიდეთ.

სარდაფში ჩასვლისთანავე ჩემს თვალწინ საიდუმლო ლაბორატორია გადაიშალა. მაგიდაზე ათასნაირი ხელსაწყო და აპარატები ეწყო. საწერი მაგიდა გადაშლილი წიგნებითა და ნახაზებით იყო სავსე. კედელზე გაკრული იყო მღვიმეებისა და უფსკრულების სქემები, ჭრილები... მათი უმრავლესობა ჩემთვის უცნობი იყო. ერთმა მათგანმა მაშინვე მიიპყრო ჩემი ყურადღება, საოცრად მეცნაურა თავისი რთული ლაბირინთითა და დიდი მიწისქვეშა დარბაზით, რომლის შუაგულში ტბა იყო გამოხატული.

— ეს რომელი უფსკრულია?

— სწორედ იმ ლაბირინთის გეგმაა, რომელშიც შენ და დათიკოს გზა აგებნათ.

— საიდან, ჩვენ ხომ მისი აგეგმვაც ვერ მოვახერხეთ?!

— გიკვირს?.. თუმცა არ გაგემტყუნება, მე ხომ თქვენთან ერთად არ ვყოფილვარ, — ეს სიტყვები გულდაწყვეტით იყო ნათქვამი, მაგრამ, თავს ძალა დაატანა, ფარდა გასწია და შემომხედა, — ახლავე ყველაფერს მიხვდები.

პატარა ოთახის შუაგულში ლითონის მოხერხებული სავარძელი იდგა. გვარლივით დახვეული ნაირფერადი მავთულგამტარები სავარძლიდან სხვადასხვა აპარატებისაკენ მიემართებოდნენ, რომელიღაც კუთხიდან ერთფეროვანი, ხმადაბალი ზუზუნი ისმოდა, სწორედ ისეთი, რენტგენის კაბინეტში რომ გამიგონია.

ზურაბმა ჩამრაზი ჩართო და სავარძლიდან ხელმარცხნივ ტელეეკრანი აციმციმდა, რომელზეც ოთხკუთხათავიანი ვეება კაცის სილუეტი აისახა. იგი მოზრდილ ლოდზე ჩამომჯდარიყო და ლინზებიანი ტელეთვალები ფართოდ დაეჭყიტა. თავზე რქასავით ედგა მოკლე ანტენა. გულში რაღაცა მძლავრად შემიტოკდა, გონებაში ეჭვმა გამიელვა და ამბურძგლა. გამახსენდა ტყისმჭრელთა ნაამბობი. ვგრძნობდი, რომ იმ საოცარ საიდუმლოებას ფარდა ეხდებოდა.

— აი, ჩვენი რობოტიც, — მომესმა ნუგზარის ხმა. — ახლა იგი აქედან ძალიან შორს — კარსტულ უფსკრულშია, და წარმოადგენს მთელი ამ რთული მოწყობილობის აღმასრულებელ ორგანოს. მის მოქმედებას ფიზიკური ძალის დაუხარჯავად განაგებს ადამიანი, რომელიც მშვიდად ზის ამ სავარძელში.

ნუგზარმა ხელი მომკიდა და ჯადოსნური სავარძლისაკენ წამიყვანა.

— ახლა შენ მოქმედებაში ნახავ ამ კიბერნეტიკულ სისტემას და ყველაფერი ნათელი გახდება. ოღონდ, რაც არ უნდა დაგემართოს „იქ", არ უნდა შეგეშინდეს. დაჯექი და მოხერხებულად მოთავსდი, აი, ასე... — მაგიდიდან ლითონის ნიღაბი აიღო, რომელსაც მსხვილი მავთული უერთდებოდა და მყვინთავის მუზარადს მოგაგონებდათ, ოღონდ, იმ განსხვავებით, რომ სათვალთვალო სარკმელი არ გააჩნდა. — თვალები არ დახუჭო და თამამად შეასრულე ყველაფერი, რასაც გეტყვი. მე აქვე ვიქნები, შენს გვერდით.

ეს მითხრა და ნიღაბი გამიკეთა. ჩემს ირგვლივ იმწამსვე უკუნი სიბნელე გამეფდა.

— ცოტა ხანს ასე იყავი, თვალები სიბნელეს შეეგუონ. არ შეგეშინდეს, ერთავ!

უცებ, წარმოუდგენელი რამ მოხდა: სიბნელე გაქრა და ბოლოს ბინდ-ბუნდში აღმოვჩნდი. ვიგრძენი, რომ სუფთა სავარძლის ნაცვლად, კირქვის ტალახიან ლოდზე ვიჯექი. თავზე ყინულივით ცივი წყალი მესხმოდა, ჩემს წინ კი ვეებერთელა გვირაბს დაეღო ხახა. წამოვხტი და მარცხნივ გავიქეცი, მაგრამ წინ სველი, მოლაპლაპე კედელი დამხვდა. ხელებზე დავიხედე და შიშის ზარი დამეცა: ხელების ნაცვლად კაუჭებიანი რკინის სატაცები მება; ლითონისავე მსხვილი, უხეში ფეხები მუხლუხა ტერფებით თავდებოდა... მთელი სხეული ლითონისა მქონდა.

— მიშველეთ! — ვიყვირე რაც ძალი და ღონე მქონდა.

— დამშვიდდი, ნუ ყვირი, ხომ გაგაფრთხილე, არ შეგეშინდეს-მეთქი, — ჩამესმა ნაცნობი ხმა.

— ნუგზარ, მიხსენი, ჯურღმულში ვარ, ამომიყვანე, სულ დავსველდი.

იმავ წამს ვიგრძენი, რომ ნუგზარმა ხელი უშვა ჩემს მხარს, რაღაცამ გაიჩხაკუნა და ბნელი გვირაბი მოჩვენებასავით გაქრა. როცა ნიღაბი ამხადა, ხელებზე დავიხედე და, ჰოი, საოცრებავ! — ისევ ჩვეულებრივი ადამიანის ხელები მება და სავარძელში ვიჯექი.

— არაფერია. პირველად ძნელია, მერე კი — მიეჩვევი, — მითხრა მეგობარმა. — აქ ჯადოსნურ ურჩხულთან როდი გვაქვს საქმე, როგორც შენ და დათიკოს გეგონათ. ის ლითონის რობოტი, ამ შემთხვევაში, შენი ორეული იყო. ადამიანი თითქოს გადასახლდება მასში, გონებრივადაც და ფიზიკურადაც. ეს იმიტომ ხდება, რომ ელექტრონული მოწყობილობა უზრუნველყოფს მასთან ორმაგ კავშირს: პირდაპირი კავშირის არხით ხდება მართვა. ამ სავარძელში მჯდომი ადამიანი „გონებრივად მოქმედებს", ესე იგი, იგრძნობს რა თავის თავს რობოტად, მის რკინის ხელფეხს საკუთარივით ხმარობს. ამ დროს ადამიანის თავის ტვინში აღიძვრიან ყოველი სურვილის შესაბამისი ბიოდენები, რომელთაც იჭერს ამ ნიღაბში დატანებული ზემგრძნობიარე კათოდების ჯგუფი. ბიოლოგიურ დენებს, გაძლიერებისა და სათანადო გარდასახვის შემდეგ, ეთერში — რობოტისკენ — გზავნის რადიოგადამცემი, და ისიც, თავისი მექანიკური ორგანოებით, მყისვე იმეორებს იმ მოძრაობებს, რომლებსაც შენ გონებაში წარმოიდგენ.

მეორე, ანუ უკუკავშირის არხი მხედველობითა და სმენით აკავშირებს ადამიანს თავის ფოლადის ორეულთან. არც აქ არის რაიმე უჩვეულო და ზებუნებრივი: რადიოტალღებით ხომ შეიძლება ნებისმიერი ხმაურის, ლაპარაკის ან მუსიკის გადაცემა შორი მანძილიდან! ტელევიზია საშუალებას იძლევა მთვარიდანაც მივიღოთ გამოსახულებანი დედამიწაზე, არამც თუ კარსტული მღვიმიდან — თბილისში. ჰოდა, რობოტს ყურებში ჩამაგრებული აქვს ორი მიკროფონი. აი, ეს ჩემი რადიომიმღები აწყობილია იმ გადამცემის ტალღაზე. მიღებული სიგნალები მაგ ნიღაბში დატანებულ ორ ყურმილსაც მიეწოდება. ამგვარად, შენი სმენა, რადიოარხით, რობოტის „ყურებთან" იყო დაკავშირებული, ხოლო მხედველობა — რობოტის ტელეთვალებთან, რაც ჩვეულებრივი სატელევიზიო გადაცემის კამერის ობიექტივს წარმოადგენს. ნიღაბში, ადამიანის თვალების წინ, პატარა ტელეეკრანია მოთავსებული, და შენ ხედავდი ყველაფერ იმას, რასაც რკინის კაცი თავისი „თვალებით" ხედავდა. მღვიმის გასანათებლად რობოტს მკერდთან ძლიერი ნათურა აქვს. რობოტის კიდურები და თავი ელექტროძრავისა და კბილანაგადამცემის საშუალებით მოდის მოძრაობაში. რადიოსამართავი რობოტები წინათაც დაუმზადებია ბევრ გამომგონებელს, ოღონდ ისინი უხეში და სამეცნიერო მიზნებისათვის გამოუსადეგარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყვნენ. მე შევიტანე სქემაში საჭირო გაუმჯობესებანი და ჩემი რობოტი მოქნილი და უნივერსალური გავხადე. როგორც დარწმუნდი, ასეთი ორმაგი კავშირი სრულიად საკმარისია, რომ ადამიანმა თავი იქ იგრძნოს, სადაც რობოტი იმყოფება. ამას პანორამული ეფექტიც უწყობს ხელს. შენ რომ ჩიოდი, — დავსველდი, მცივაო, — ეს მცდარი შეგრძნებები იმან გამოიწვია, რომ ხედავდი, როგორ დაგდიოდა თავზე წყალი და გესმოდა რობოტის ტანზე წყლის დადენით გამოწვეული ხმაური. ახლა, ამ კონსულტაციის შემდეგ აღარ შეგეშინდება. გინდა — განვაგრძოთ ექსკურსია მღვიმეში?

— განვაგრძოთ.

ნუგზარმა ისევ გამიკეთა ნიღაბი, აპარატი ჩართო და მე ნაცნობ გვირაბში აღმოვჩნდი.

— შენს ფეხთან ურო გდია, აიღე, — ჩამესმა ნუგზარის ხმა.

როცა დიდი ურო ავწიე, სიმძიმე არ მიგრძვნია. დავხედე რკინის ღონიერ მკლავებს და სიამაყის გრძნობა დამეუფლა. რამდენიმე წუთი კირქვის კედელს ვანგრევდი და ხვრელს ვაგანიერებდი. ამ დროს კედელს მოზრდილი ლოდი მოსწყდა და მხარზე დამეცა. შევკრთი, მაგრამ მაშინვე გავიაზრე, რომ ტკივილი არ მიგრძვნია.

— გეყოფა, ცოტაოდენი სამუშაო მეც დამიტოვე, — ჩამესმა ისევ ნუგზარის ხმა. — ახლა გვირაბი დავათვალიეროთ...

გაბედულად მივაბიჯებდი ოღრო-ჩოღროებში ჩამდგარ წყალში. რაც უფრო შორს მივდიოდი, უფრო მეტად მიტაცებდა ლაბირინთის პეიზაჟი. გავიარე ის ადგილები, სადაც დათიკოს და მე ამდენი უცნაური ამბავი გადაგვხდა თავს, და მოჯადოებულივით განვაგრძე გზა უცნობ დარბაზებში. ბევრი ვიარე, მაგრამ დაღლა არ მიგრძვნია... ერთგან ფეხი ამიცდა და ჭაში ჩავვარდი. უილაჯოდ ვასავსავებდი ხელებს წყალში და ვერ ამოვდიოდი. თავისუფლად მაშინღა ვიგრძენი თავი, როცა ნუგზარმა ნიღაბი ამხადა და სავარძლიდან წამომაყენა.

— არაფერია, ჩვენს რობოტს ჰერმეტული ჯავშანი აცვია. ახლავე ამოვიყვან.

ეკრანზე ვხედავდი, როგორ ცდილობდა რობოტი ჭიდან ამოსვლას. მერე თითქოს გაბრაზდა და თავისი ფოლადის მუშტებით ჭის კედელში საფეხურების გამონგრევა დაიწყო.

— შენ ალბათ უკვე მიხვდი, თქვა ნუგზარმა, როცა რობოტი ჭიდან ამოიყვანა და ნიღაბი მოიხსნა, — რომ არავითარი ავსული ან მღვიმის ადამიანი არ შეგხვედრიათ. ონისიმე ფოლადაურიც მაშინ დავირქვი, როცა მატარებელში ის ყბედი ყაბალახიანი ჩემს რობოტზე ჰყვებოდა.

— მაშ, დათიკო შენ გადაარჩინე?

— კი, მაგრამ ფეხი უკვე მოტეხილი ჰქონდა. ეჰ, განა ის არ კმაროდა, რომ მე... რას იზამ. როგორც ხედავ, სპელეოლოგიას ვერ შეველიე, — განაგრძო მცირე პაუზის შემდეგ. — როცა კი გულზე ნაღველი შემომაწვება, ამ სარდაფში ჩამოვდივარ, ვჯდები სავარძელში და მიწისქვეშა სამყაროში მარტო დავეხეტები. მაგრამ მაინც სულ სხვაა, როცა საკუთარი ფილტვებით ჩაისუნთქავ მღვიმის ჰაერს... ეს გრანდიოზული ლაბირინთი შარშან აღმოვაჩინე ჩემი რობოტის საშუალებით. ხშირად ვერთობოდი მისი „კეთილმოწყობით". მიწისქვეშა მდინარის გამოსასვლელი ხვრელი ლოდებით ამოვქოლე და იმ ვეებერთელა დარბაზში ტბა დავაგუბე. კედლებზე იეროგლიფები და, ტასილის მსგავსი, მარსიანელი ღმერთის ფიგურა ამოვკვეთე.



მრავალი საათი გამიტარებია მიწისქვეშეთში. მხოლოდ მე ვიყავი მუდმივი სიბნელის სამყაროს მბრძანებელი და არ მეგონა, თუ ადამიანები ასე მალე ჩააღწევდით ამ ძნელად დასაპყრობ მღვიმეში... მერე, ის იყო — სიცხიანი დათიკო ჭაში ჩაიჩეხა, თქვენთვის უცნობი გამოსასვლელით ზედაპირზე ამოვიყვანე და კარავთან დავტოვე. კოკისპირული წვიმისაგან ტბის დონემ აიწია და, გასასვლელი რომ არ გამენგრია, კარგი დღე არ დაგადგებოდა.

აღტაცებული ვისმენდი ამ უცნაური ადამიანის სიტყვებს. კაცმა ორივე ფეხი დაკარგა, პირველად სიცოცხლეც არ უნდოდა, მერე კი — დასძლია საკუთარი თავი და ხეიბარმა უფრო მეტის გაკეთება შესძლო, ვიდრე ჩვენ, ჯანღონით სავსე ადამიანებმა. ეს იყო მისი საიდუმლო, რომელსაც კიდევ დიდხანს არ გამანდობდა, ეს შემთხვევა რომ არა.

— ნუგზარ, მართალი მითხარი, ნუთუ მღვიმეთა სიყვარულმა შეგაძლებინა ასეთი რთული სამუშაოს ჩატარება?!

— მღვიმეთა სიყვარული... — თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა მან და ჩაფიქრდა. — სხვა სიყვარულიც იყო, მაგრამ ხეიბარი ვიღას ვუნდივარ... ჰოდა, მინდოდა შორს გადაკარგვა, განმარტოება, მაგრამ სიარული არ შემეძლო... ისე კი, კარგი მანქანა გამოვიდა...

როცა შინ დავბრუნდი და დასაძინებლად დავწექი, კიდევ დიდხანს მედგა თვალწინ მეგობრის ენერგიული, ჩაფიქრებული სახე და მინდოდა გავქცეულიყავი მასთან, გადავხვეოდი და ხმამაღლა მეთქვა:

— სცდები, ნუგზარ! შენ ყველასთვის საჭირო ხარ, ყველასთვის საჭირო და ძვირფასი! როცა ადამიანები შორეულ პლანეტებს მიაღწევენ, საჰაერო ხომალდიდან პირველად ასეთ რობოტებს გამოუშვებენ გარემოს დასაზვერად და შესასწავლად .ასეთი რობოტები გზას გაუხსნიან ადამიანს რთული ამოცანების გადასაწყვეტად. სცდები, ნუგზარ! შენ ტყუილად სდუმხარ და საიდუმლოდ ინახავ შენს გამოგონებას, იგი კაცობრიობის საკუთრებად უნდა აქციო!..

,,სიყვარულიც იყო, მაგრამ ხეიბარი ვიღას ვუნდივარ...'' — გამახსენდა ნუგზარის მოწყენილი, სევდიანი ხმა.

— აქაც სცდები, ნუგზარ. შენ ამაყი ხარ, ძალზე ამაყი და თვითონ უარჰყავი სიყვარული!..

რა უსასრულო შესაძლებლობები აქვს ადამიანის ტვინს, თუ მას სათანადოდ განავითარებს და გამოიყენებს... თვით ადამიანი!

# ● ზარზმა ●

## პასუხი № 12-ში დასმულ კითხვებზე

ისტორიული მესხეთის ტერიტორიაზე, ქვაბლიანისა და ძინძესის ხეობათა შესაყართან, სოფ. ზარზმის ჩრდილო გორაკის ფერდზე აშენებულია ზარზმის ეკლესია, რომლის მშენებლობა და მხატვრობა მიეკუთვნება ბექა მანდატურთუხუცესის მოღვაწეობის პერიოდს (XIV ს. პირველი ნახევარი); მთავარ ტაძართან ერთად აგებულია სამრეკლოც.

ზარზმის ტაძარი თლილი ქვით ნაგები, გუმბათიანი ნაგებობაა — სწორკუთხა მოხაზულობისა, ორი თავისუფლად მდგომი გუმბათქვეშა ბურჯითა და ორი შესასვლელით (სამხრეთით და დასავლეთით).

ზარზმის ეკლესიის თავისებურებაა სარკმელთა რაოდენობის შემცირება, — გუმბათში 12-ის ნაცვლად ექვსი სარკმელია ამოკვეთილი, საკურთხევლის აფსიდაში კი, სამი სარკმლის ნაცვლად, ერთია გაჭრილი. საკურთხეველთან უშუალოდ არის დაკავშირებული მხოლოდ სამკვეთლო. ტაძარს აქვს ცრუ, თუმცა გარეგნულად გამოხატული, პატრონიკენები; როგორც ჩანს, ამ დროს ტაძრების შიგნით სინათლის წყაროს ანელებდნენ. ზარზმის ტაძრის ინტერიერი მთლიან, მხატვრულად დასრულებულ შთაბეჭდილებას ტოვებს. ეს შემდეგი მიზეზებით აიხსნება: XX საუკუნის პირველ ნახევარში ჩატარებული რემონტის შემდეგ იგი კარგ მდგომარეობაშია. ქვის სწორი, დაუზიანებელი იატაკი, ერთიანი შეუბღალავი მოხატულობა სასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს. გარდა ამისა, შინაგანი სივრცის დამუშავება არქიტექტურული ელემენტებით, მოფიქრებული და გააზრებულია. იგრძნობა, რომ ხუროთმოძღვარს კარგად ჰქონდა შეგნებული თავისი ამოცანა.

ტაძრის შიგნით ყველა ნაწილზე უფრო ხაზგასმული და გამოყოფილია საკურთხეველი. ამ დროის სხვა ტაძრებში ეს ადგილი განათებით არის გამოყოფილი, აქ კი ეს ხერხი უარყოფილია. სარკმლის ორთავე მხარეს მოთავსებულ თითო ტრადიციულ, ნახევარწრიულ ნიშს ოსტატი დეკორატიული თაღებით აკავშირებს სარკმელთან. ნიშები და სარკმელი ხუთთაღედის უწყვეტ სისტემაშია ჩართული. უეჭველია, აქ X-XI ს. ს. არსებული მოტივის — აბსიდის გარშემო გაკეთებული ნიშების მწკრივის წმინდა დეკორატიულ გადამღერებასთან გვაქვს საქმე. ხუთთაღედა აბსიდი ძეგლს საზეიმო იერს აძლევს.

შთაბეჭდილების მთლიანობის შენარჩუნებას ემსახურება ტაძრის მოხატულობაც. მართალია, მხატვრობას ის ძველი პეწი აღარ შერჩენია, მაგრამ მათი კომპოზიციური განლაგება მაინც ჰქმნის ძველ განწყობილებას. აქ კომპოზიციათა რამდენიმე რეგისტრია, — სულ ქვემოთ მთელ ტაძარს გარს უვლის დეკორატიული ფარდები. აღმოსავლეთისკენ მიმართულ სიბრტყეებზე ყველა ფიგურა ფრონტალურად არის შესრულებული. ჩრდილოეთისა და სამხრეთის სიბრტყეების ფიგურები მეტწილად აღმოსავლეთისაკენ იყურებიან, ე. ი. ყურადღება საკურთხევლისაკენ არის მიმართული. ზარზმის ინტერიერში განსაკუთრებით იგრძნობა კედლის დაუნაწევრებელი, ვრცელი ზედაპირის სივრცის შემომფარგვლელი ძალა. ეს არის ეპოქის დამახასიათებელი თვისება.

დასავლეთის ფასადის კომპოზიცია თავისუფალი და გაბედულია, გარკვევით ჩანს ასიმეტრია. კარნიზის ორი დაქანებული საფეხური მარცხნივ და სამი საფეხური მარჯვნივ, აგრეთვე მძლავრი ცოკოლი ხაზს უსვამს ამ ასიმეტრიული სიბრტყის მთლიანობას. სარკმელთა მორთულობაში უპირატესობა ენიჭება სარკმლის სწორკუთხა საპირეს. გუმბათის ყელს რომ შეხედავ, სადაც ნახმარია სხვადასხვა ფერის ქვები, იგრძნობ, თუ რა მნიშვნელობას ანიჭებდნენ ფერადოვან ეფექტს. ორნამენტი ხავსებით მთლიანია, ნაკლებია მცენარეული ორნამენტი, რომლის შესრულებაში, ცოცხალი ხელის ნაცვლად, იგრძნობა სახაზავი და ფარგალი. მასშტაბის მონუმენტურობის წინანდელი გაგება დაკარგულია. ლენტოვან წნულს ძველი ძალა გამოეცალა. თუმცა უდაოა ჩუქურთმის ჭრის მაღალი ხარისხი. ნამუშევრის ლაკონურად შესრულების გარდა, საზეიმო იერის გაძლიერებისათვის, ოსტატი ტაძრის დეკორში სალებავს იყენებს. ეს ხერხი ჩვენში იშვიათია.

ზარზმის ტაძარი მდიდარია წარწერებით. ეს წარწერები დიდი მნიშვნელობისაა და მრავალ საინტერესო კითხვაზე იძლევა პასუხს.

ამრიგად, ზარზმის ეკლესია, როგორც ისტორიულად, ისე მხატვრული თვალსაზრისით, ძალზე საინტერესო ძეგლია. მას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქართული ხუროთმოძღვრების განვითარების ისტორიაში.

ნ. ქარუმიძე,
საქ. ხელოვნების მუზეუმის უფრ. მეც. მუშაკი.

რედაქციამ მიიღო ერთ-ერთი სკოლა-ინტერნატის მოსწავლის წერილი. მას და მის მეგობარ ვაჟს თავს გადახდენიათ ფრიად საგულისხმო ამბავი. ვინ იცის რით დამთავრდებოდა ყოველივე ეს, რომ ორთავეს არ გამოეჩინა პრინციპულობა, ერთმანეთისადმი გულისხმიერება და წინდახედულება.

მოგვწერეთ ბავშვებო, თქვენც ხომ არ გადაგხდენიათ მსგავსი ამბავი? თუ გადაგხდენიათ როგორ მოიქეცით?



# მე არ [illegible]?

ჯერ გიამბობთ უბრალო, ჩვეულებრივ კარტოფილზე, რადგან სწორედ კარტოფილით დაიწყო ყველაფერი.

ბავშვები სამზარეულოში კარტოფილის გასაფცქვნელად გაგზავნეს. ყველას მოგეხსენებათ, მაინცდამაინც ვერაფერი სასიამოვნო საქმეა კარტოფილის ფცქვნა, მით უმეტეს, თუ ქვაბი თავამდეა კარტოფილით სავსე.

ბავშვები ხუმრობდნენ, ჰყვებოდნენ ცისას, ბარისას, გივი კი ჩუმად მუშაობას იყო ნაჩვევი. მამინაცვლისაგან ისწავლა დუმილი. ესეც რომ არ იყოს, იგი არც ისე კარგად გრძნობს თავს ბავშვებთან. თითქმის ორი წლითაა მათზე უფროსი. ახლა მერვე კლასში უნდა იყოს, მაგრამ საქმე ისე წაუვიდა, რომ მეექვსეში ზის. ერთი წელი შინ იყო, ერთიც — საპერო ქარხანაში იმუშავა, — უნდოდა დედას დახმარებოდა. ეს მაშინ მოხდა, როცა მამინაცვალი სახლიდან წავიდა. მერე მამინაცვალი დაბრუნდა და გივი თავისი ფეხით მიადგა ინტერნატის კარებს, შეიტანა საბუთები. სასწავლო წლის დასაწყისში მშობელთა კრება რომ მოიწვიეს, კრებას თვითონ დაესწრო. უხმოდ იჯდა და უსმენდა. არ გამოუგდიათ, — იფიქრეს, ალბათ რომელიმე მოსწავლის უფროსი ძმააო.

სამზარეულოში მომუშავეთ უფროსკლასელი გოგოები მიახმარეს. ყუთზე ჩამომჯდარმა გივიმ ჩაიწია, ერთ-ერთ გოგოს ადგილი დაუთმო და კარტოფილის ფხეკა განაგრძო.

გოგოები ყურადღებას არ აქცევდნენ მეექვსეკლასელებს და ერთ აურზაურში იყვნენ. დროდადრო გივის წინ ხელი გაიელვებდა ხოლმე — მეზობელი გაფხეკილ კარტოფილს დიდ ქვაბში ისროდა. ბიჭს ერთი სული ჰქონდა, შეეხედა გოგოსათვის, მაგრამ ვერ გაებედნა, როგორც იქნა, ქვაბი პირთამდე აივსო თეთრი, ქათქათა კარტოფილებით. ბავშვები წამოდგნენ და, სწორედ მაშინ გივისა და მისი მეზობელი გოგოს თვალები ერთმანეთს შეხვდნენ. გივის მოეჩვენა, რომ ამ წამიერმა მზერამ მათ შორის რაღაც საიდუმლო შეთანხმება დაამყარა. გივიმ არ იცოდა, რა შეთანხმება იყო ეს, მაგრამ რატომღაც გაუხარდა. ძალიან გაუხარდა. მთელი საღამო ამ გოგოზე ფიქრობდა. ონკანთან წინსაფარს რომ ირეცხავდა — მაშინაც ფიქრობდა, წიგნს რომ კითხულობდა — მაშინაც ის გოგო ედგა თვალწინ. როცა ძილის წინ მეექვსეკლასელთა საერთო ოთახში, თავქვეშ ხელებამოდებული იწვა, კვლავ ის გოგო დაუდგა თვალწინ. ვერ იქნა და ვერ მოიცილა ფიქრი თავიდან. რაც მეტს ფიქრობდა, რატომღაც რწმუნდებოდა, რომ ამიერიდან ინტერნატში მარტო აღარ იყო.

გავიდა დღეები. ინტერნატი დიდი იყო — ექვსასი ბავშვი სწავლობდა და სხვადასხვაკლასელი ორი მოსწავლე,

---

## თაფლის სასწაულებრივი ძალა

პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომის დროს, ირლანდიის ნაპირების ახლოს, საშინელი უბედურება მოხდა.

ამ ამბავმა მთელი პროგრესული კაცობრიობა შეძრა.

1915 წლის 7 მაისს გერმანიის წყალქვეშა ნავმა დაატორპედა ინგლისის სამგზავრო გემი „ლუზიტანია", რომელიც ნიუ-იორკიდან ლივერპულში მიცურავდა.

თავდასხმა მოულოდნელი იყო. ტორპედომ ეს უზარმაზარი მცურავი ქალაქი-გემი გახვრიტა და, სანამ მიეშველებოდნენ, წყალში ჩაიძირა.

გემის წყალწყვა 30 ათასი ტონა იყო. ოკეანიდან მისი ამოღება დიდხანს ვერ მოხერხდა, — მყვინთავებმა ვერ შეძლეს წყლის სიღრმეში მუშაობა, — მათ შორის ყველაზე ღონიერმა, გამძლეებმაც კი ვერ აიტანეს წყლის მაღალი ფენის უზარმაზარი წნევა. მხოლოდ 1939 წელს, ამ უდიდესი კატასტროფიდან თითქმის 25 წლის შემდეგ მყვინთავების მეცადინეობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველ დასვენებაზე რომ ვერ შეხვედროდა ერთმანეთს, რა გასაკვირი იყო. მხოლოდ სასადილოში თუ დაინახავდნენ ხოლმე ერთმანეთს. შებრუნდებოდა გივი, გაიხედავდა იქით, საითაც ლალი იჯდა და შეხედავდა; შეხედავდა, რომ დარწმუნებულიყო — ჩვენი საიდუმლო შეთანხმება ხომ არ დარღვეულაო.

როგორც ყოველ შაბათს, გივი იმ დღესაც შინ წასასვლელად მოემზადა. ჩემოდანში ჩააწყო გასარეცხად წასაღები რაღაც-რაღაცები და თავის თანამგზავრ პატარა ბიჭებთან ერთად სადგურისაკენ გაეშურა. მას მეოთხეკლასელი ორი ბიჭის გაცილებაც ჰქონდა დავალებული.

ლაპარაკ-ლაპარაკით, შეუმჩნევლად მიადგნენ სადგურს. იმწამსვე შეამჩნია, რომ საბილეთო სალაროსთან ლალი იდგა. ბიჭმა უხერხულად დადგა ჩემოდანი, დიდის გაჭირვებით ამოიღო ჯიბიდან ფული და ბილეთები შეიძინა. ასე ეგონა, — ირგვლივ ყველაფერი გაირინდა, ყურს უგდებენ ჩემს გულის ძგერას, ათასობით კაცი დაჟინებით აკვირდება ჩემს ყოველ მოძრაობასო. მიიხედა, — ლალი მართლაც მას მისჩერებოდა. ბიჭი შეკრთა, მზერა მოარიდა. მეოთხეკლასელებმა იგრძნეს, აქ რაღაც ამბავიაო და, გაიტრუნენ. ამასობაში, სადგურში ორივე მხრიდან მატარებლები შემოგრიალდნენ. ბაქანზე ჩოჩქოლი ატყდა, ხალხი აირ-დაირია. ბიჭები ერთი მატარებლისაკენ გაეშურნენ, ლალი — მეორესაკენ. „მაშასადამე, სხვა მხარეს მიდის", — გაიფიქრა გივიმ. როგორც კი ვაგონში ავიდნენ, ფანჯარას ეცა. ლალის მატარებელი უფრო ადრე დაიძრა და მაშინვე უმატა სიჩქარეს. ვაგონი ვაგონს მისდევდა, ლალი კი არ ჩანდა. ბიჭი დარწმუნებული იყო, — თუ ახლა ლალის თვალი ვერ მოვკარი, უეჭველად ძალიან ცუდი ამბავი მოხდებაო. მაგრამ აი, უკანასკნელი ვაგონის ღია ფანჯარაში ლალის თავი გამოჩნდა, მან დაინახა ბიჭი და ხელი დაუქნია.

მეორე შაბათს გივიმ, თავის განუყრელ თანამგზავრებთან ერთად, ლალის ინტერნატის ჭიშკართან დაუცადა. ერთად წავიდნენ სადგურში და ერთად დაელოდნენ მატარებელს. გივის ცალ ხელში თავისი ჩემოდანი ეჭირა, მეორეში კი ლალის ჩანთა. როცა მატარებლები სხვადასხვა მიმართულებით დაიძრნენ, ბიჭმა და გოგომ ისევ დაუქნიეს ხელი ერთმანეთს. ლალიმ რაღაც დაუძახა კიდეც, მაგრამ ბორბლების რახარუხში ხმას გივიმდე არ მიუღწევია.

გავიდა რამდენიმე დღე და, მთელი მეექვსე კლასი, სადაც გივი სწავლობდა და, მთელი მერვე კლასი, სადაც ლალი სწავლობდა, მერე კი მთელი სკოლა, დიდმნიშვნელოვან საკითხს არჩევდა — გივის და ლალის ერთმანეთი უყვართო.

ექვსასკაციან ინტერნატში არაფრის დამალვა არ შეიძლება. მაგრამ ის კი შეიძლება, რომ არასწორად გაუგონ ორ ადამიანს...

ბავშვები ჩურჩულებდნენ. ზურგს უკან ხითხითებდნენ. კედლებზე და დაფაზე გაჩნდა „სიყვარულის ფორმულა": „გივი + ლალი = სიყვარულს!"

როგორც ვთქვით, ინტერნატამდე გივის თითქმის მთელი ორი წელი არ უსწავლია. ადრე, საერთოდ, აპირებდა სწავლისათვის თავი მიენებებინა და სადმე სამსახურში მოწყობილიყო. სწავლას როდისმე, მერეც მოვასწრებო, — ფიქრობდა. მაგრამ საქმე სხვაგვარად შეტრიალდა. სახერხ ქარხანაში ყველა ზრუნავდა მასზე, — ცდილობდნენ, რაც შეიძლება იოლი საქმე დაევალებინათ. ისიც სასიამოვნო იყო, საკუთარი შრომით შეძენილი ფულით საჩუქრებს რომ უყიდდა დედას და დაიკოს. ის კი არა და, რადიოლას საყიდელი ფულიც უგროვდებოდა. მაგრამ ბიჭს ყველაფერზე უფრო მაინც სწავლა სწყუროდა და სძლია კიდეც ამ სურვილმა. ამიტომ იყო, ასე რომ გაუხარდა ინტერნატში მოწყობა.

სინამდვილე გაცილებით რთული აღმოჩნდა, ვიდრე

წარმატებით დაგვირგვინდა.

სანამ გემის ამოსალებ სამუშაოებს დაიწყებდნენ, მყვინთავები ექვს თვეს ემზადებოდნენ. მათ დაუწესეს კვების რაციონი, რომელშიც თაფლიც იყო შეტანილი.

მომზადებისა და წვრთნის პერიოდის განმავლობაში თითოეულმა მყვინთავმა თითქმის ასი კილოგრამი თაფლი შეჭამა. ბოლო თვეებში, სამუშაოების დაწყების წინ, თაფლის ნორმა თითოეულ კაცზე დღეში 680 გრამამდე გაადიდეს. ეს თვეში 20 კგ. თაფლს უდრიდა.

რა მიზნით აჭმევდნენ მყვინთავებს ამდენ თაფლს?

თურმე თაფლი კაცს ხდის უფრო გამძლეს. თაფლის ყოველდღიური მოხმარება ხელს უწყობს კუნთის ქსოვილში და ღვიძლში რთული ნახშირწყლის — გლიკოგენის დაგროვებას.

მძლავრი ფიზიკური დატვირთვისას, (როდესაც მყვინთავს, სპორტსმენს თუ სხვა ვინმეს სურს განსაკუთრებული გამძლეობა გამოიჩინოს, ე. ი. მოკლე დროის განმავლობაში დახარჯოს ენერგიის მაქსიმუმი), გლიკოგენი წარმოადგენს ერთგვარ სათბობს, რომლის ფარული ქიმიური ენერგია სწრაფად იქცევა კუნთების ენერგიად.

გ. კუხალაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმოედგინა. ხუმრობა საქმე ხომ არ იყო ორწლიანი შესვენება, ქართულში მოიკოჭლებდა, გრამატიკა არ იცოდა, მათემატიკაშიც უჭირდა — მთელი საღამო ამოცანის ამოხსნას უნდებოდა და სხვა გაკვეთილები დაუსწავლელი რჩებოდა. გახშირდა ორიანები. ორიანების მიღება კი რცხვენოდა. როგორ არ შერცხვებოდა, როცა ხნითაც და ტანითაც კლასში ყველაზე დიდი იყო. ბევრს მეცადინეობდა, მაგრამ დაფასთან რომ გავიდოდა, ყველაფერი ავიწყდებოდა, სიტყვას სიტყვაზე ვერ აბამდა.

რაღაცნაირი, გაორებული ცხოვრებით ცხოვრობდა. კლასგარეთ ბავშვების ცნობისმოყვარე მზერას ვერ ემალებოდა. ირეკებოდა ზარი და, იწყებოდა მისი წამება. იჯდა ეს უშველებელი ბიჭი მხრებაწურული, ლამის მერხში შეერგო თავი. სულ იმის კანკალში იყო, ან ახლა გამიძახებს მასწავლებელი, ან ახლაო.

ეცოდებოდა და სძაგდა თავისი თავი. „სანამდე უნდა ვიყო ასე, სანამ უნდა ვთრთოდე და ვკანკალებდე ასე...“ — არ ცილდებოდა ნაღვლიანი ფიქრები. მის შეგნებაში თანდათან მტკიცდებოდა გადაწყვეტილება: „უნდა გავიპარო, უნდა წავიდე აქედან. წავალ და ვიმუშავებ. მერე აღარც ლალის შევეზიზღები...“

ასე ფიქრობდა გივი. ის კი არ იცოდა, რომ ლალიმ რამდენჯერმე იტირა კიდეც, მაგრამ როგორ დახმარებოდა, როგორ შეეწყო ხელი, ვერ მოეფიქრებინა.

ერთ დღეს, ისტორიის გაკვეთილზე, გივიმ ისევ ორიანი მიიღო. მასწავლებელი კარგა ხანს არიგებდა, მერე უთხრა:

— გრცხვენოდეს... სიძე-ბატონო, ულვაშები ამოგდის. შენ კი...

ვინ უწყის, რატომ უთხრა ასე. შეიძლება ისე თქვა... შეიძლება ლალი არც კი ჰყოლია მხედველობაში...

ისტორიის შემდეგ კიდევ იყო ერთი გაკვეთილი. გივი



კლასიდან გავიდა და აღარ შემობრუნებულა. აღარც ვახშამზე მოსულა. სასადილოში ლალი შეშფოთებული იცქირებოდა აქეთ-იქით. ბოლოს, ვეღარ მოითმინა და აღმზრდელთან მივიდა.

— ქეთო მასწავლებელო, სადაა გივი? რაღაც მოხდა ალბათ, უნდა მოვნახოთ!

ქეთო მასწავლებელმა გაოცებით შეხედა გოგონას და უბრძანა, ადგილზე დამჯდარიყო.

— ექვსასი ბავშვი ერთად რომ წამოვარდეს და აქეთ-იქით სირბილს მოჰყვეს, რა გამოვა? — მკაცრად თქვა მასწავლებელმა.

ვახშამი დამთავრდა. გივი არ ჩანდა. ხელუხლებელი ულუფა ჯერ ისევ მაგიდაზე იდგა. ლალი მეორედ მივიდა აღმზრდელთან. იგი ახლა სასწავლო ნაწილის გამგეს ელაპარაკებოდა.

— უკაცრავად, მასწავლებელო... გივის არ უვახშმია... ალბათ, შეემთხვა რამე... არ მოვძებნოთ?

—უფროსების საუბარში არ უნდა ჩაერიო, გასაგებია? ნუ გეშინია, არ დაიკარგება შენი გივი, — უპასუხა ქეთო მასწავლებელმა.

იგი ახალი მოსული იყო ინსტიტუტიდან და ფიქრობდა, რომ მთავარი იყო ბავშვებისათვის კარგი ჩვევები ჩაენერგა.

ლალი გაეცალა. ზურგს უკან სასწავლო ნაწილის გამგის, გიორგი მასწავლებლის შეშფოთებული ხმა მოესმა. იგი ბავშვებს ეკითხებოდა, — როგორ გგონიათ, სად უნდა გამქრალიყო გივიო.

ლალიმ მთელი ინტერნატი შემოირბინა. გივის მნახველი არავინ იყო. მაშასადამე...

„ვახშამი შვიდზე დაიწყო, — გამოთვალა ლალიმ, — ახლა, ალბათ, უკვე რვაა. რომ გავიქცე, შეიძლება მივუსწრო“.

ინტერნატში მკაცრი კანონი იყო: დაუკითხავად ეზოდან ვერავინ გავიდოდა. მაგრამ ახლა ნებართვის აღების დრო არ იყო და, რომც ეთხოვა ვინმესთვის, ალბათ ასე გვიან გარეთ არავინ გაუშვებდა.

გოგონა ჭიშკარში გავიდა და სველ, მოლიპულ ბილიკზე გაიქცა. აქოშინებულმა მიირბინა სადგურზე და წასული მატარებლის უკანა ვაგონზე წითელი შუქი დაინახა. გივი საბილეთო სალაროსთან იდგა. ხელში ჩემოდანი ეჭირა.

— მიდიოდი?... მე არ გაგახსენდი?.. — ჩუმად თქვა ლალიმ.

— გამახსენდი. გამახსენდი თორემ... არც დავბრუნდებოდი... როგორმე გავართმევთ თავს... ხომ მართალია?

-- რა თქმა უნდა! — წამოიძახა გახარებულმა ლალიმ და გივის ჩემოდნის სახელურს სწვდა.

მხატვარი ზურაბ მეძმარიაშვილი.



### დიდგულა

დიდგულა ერთ-ერთი უაღრესად სასარგებლო მცენარეა. მას ქართლში და კახეთში დუდგულას, ზემო იმერეთში — ხეკროს, გურიაში — ხელთოფას, ლეჩხუმში — ხელრუას, ქვემო რაჭაში — ხრეკულას, სამეგრელოში — თახვანტიას ეძახიან.

დიდგულა ჩვენში იზრდება ფოთლოვან ტყეებში, 3-10 მეტრი სიმაღლისა. უფრო მეტად იგი გავრცელებულია დასავლეთ ევროპაში, ჩრდილო აფრიკასა და მცირე აზიაში. დიდგულას უკრაინასა და ბელორუსიაში ბაღ-პარკებში აშენებენ. მას უყვარს სითბო. ჩრდილის ამტანია, ხარობს ნოყიერსა და ნესტიან ადგილებში. ჰყვავის მაისსა და ივნისში. ნაყოფი მწიფდება ივლის-აგვისტოში.

დიდგულას ყვავილები, თანაყვავილედი, ძირი, ქერქი და ნაყოფი სხვადასხვა საჭიროებისათვის გამოიყენება.

ყვავილი შეიცავს სიმჟავეებს, ლორწოვან და პარაფინისმაგვარ ნივთიერებას. დიდგულას ყვავილის წვენის ნაყენით მკურნალობენ გაცივებულ ადამიანს; ხოლო ყვავილისაგან ამზადებენ მურაბებს, ურევენ აგრეთვე ცომში, არომატის მისაცემად.

დიდგულას მწიფე ნაყოფი საკმაოდ გემრიელია. მისგან ამზადებენ განსაკუთრებული სახის მარმელადს შაქრითა და თაფლით, აკეთებენ აგრეთვე კომპოტს. დიდგულას ნაყოფის ნახარშით ღებავენ აბრეშუმის ქსოვილებს.

### ჯიხვების გუშაგი

შურთხი ქათმისნაირთა ოჯახის წარმომადგენელია. ამ ოჯახს ეკუთვნის — როჭო, მწყერი, გნოლი, კაკაბი, ხოხობი, დურაჯი.



შურთხს „ჯიხვების გუშაგს“ უწოდებენ. როცა ჯიხვებს რაიმე საშიშროება მოელით. შურთხი თავისებური საგანგაშო სტვენით აფრთხილებს მათ.

შურთხს „მთის ინდაურსაც“ ეძახიან. ცხოვრობს კავკასიონის მწვერვალების მიდამოებში.

### ცხოველი, რომელიც გვიმრას ჭამს

ეს ცხოველია დომბა, ჩლიქოსანთა წარმომადგენელი. დომბის ჯოგები ცხოვრობდა ნახევარი საუკუნის წინ კავკასიონის ქედის დასავლეთ ნაწილში. მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს ეს რიცხვი ძლიერ შემცირდა.



არცერთი სხვა შინაური და გარეული ცხოველი, გარდა დომბასი, გვიმრას არ ჭამს.

1923 წელს დაარსებულმა დომბის დაცვის საერთაშორისო საზოგადოებამ დიდი მუშაობა გასწია დომბის მოსამრავლებლად. ომებმა და უმოწყალო ნადირობამ დომბა სრული მოსპობის გზაზე დააყენა. მაგრამ, ადამიანმა მაინც გადაარჩინა გადაშენებას ეს საინტერესო პირუტყვი.

## ახალი წიგნები

### „მსოფლიოს მბრძანებელი“

ა. ბელიაევი

„ნაკადულმა“ თავისი „სათავგადასავლო ბიბლიოთეკის“ მეცხრამეტე ტომად მკითხველს მიაწოდა საბჭოთა მწერლის ალექსანდრე ბელიაევის სამი ცნობილი მეცნიერულ-ფანტასტიკური მოთხრობა: „პროფესორ დოუელის თავი“, „უკანასკნელი ატლანტიდელი“, „მსოფლიოს მბრძანებელი“.

თავის ბევრ ფანტასტიკურ ნაწარმოებში ალექსანდრე ბელიაევი მიზნად ისახავს, გამოიაშკარაოს კაპიტალისტური წყობილების ანტიჰუმანური არსი, დაგვანახვოს მეცნიერთა მდგომარეობა კაპიტალისტურ სამყაროში, მათი ფანტასტიკურ-მეცნიერული ექსპერიმენტების სავალალო დასასრული.

მ. გორკი ამბობდა: „ფანტასტიკის დანიშნულებაა— გაიხედოს ფაქტის ბევრად უფრო წინ, დაზვეროს გზები ამ ფაქტების განსახორციელებლად. ჩვენ ვცხოვრობთ ისეთ ეპოქაში, როცა მანძილი ყველაზე უფრო გიჟურ ფანტაზიასა და სრულიად რეალურ სინამდვილეს შორის არაჩვეულებრივი სისწრაფით მცირდება“.

ვისაც იტაცებს მეცნიერულ-ფანტასტიკური ნაწარმოებების კითხვა, უეჭველად დიდ სიამოვნებას მიანიჭებს ა. ბელიაევის ზემოაღნიშნული მოთხრობები.

### „დათვი მოდის, დათვი“

გ. ძნელაძე

გივი ძნელაძის ეს ახალი საბავშვო ლექსების წიგნი მშვენიერი საჩუქარია ნორჩი მკითხველისათვის. ქართველი ბავშვების სალისიანი ცხოვრება, ჩვენი ქვეყნის განუმეორებელი სილამაზე — აი, რით არის შთაგონებული ამ წიგნში შეტანილი თითოეული ლექსი. გარდა ლექსებისა, კრებულში მოთავსებულია პოემა „ბელუერა და ენძელა“, აგრეთვე — ორი ბულგარული საბავშვო პოემის („როგორ გადარჩა ჰიანჭველების ქვეყანა“ და „როგორ დაამყარა სოკომ რეკორდი“) მშვენიერი თარგმანები.






ეროვნული ბიბლიოთეკა



ცოცხმა ან იატაკის დასაგველმა ჯაგრისმა ზედმეტი ადგილი რომ არ დაიკავოს, ოთახის კუთხეში, ტარის ბოლოზე გაუკეთე რგოლი და იმით ჩამოკიდე კედელზე. ამით დიდად ასიამოვნებ დედას.

თუ დაგჭირდეს დიდი რვეულისაგან პატარა რვეულის გამოჭრა, არავითარ შემთხვევაში არ იხმარო მაკრატელი. ამით რვეულს დაამახინჯებ. იხმარე ბასრი დანა და ლითონის სახაზავი (დახედე ნახატს).



ვთქვათ, დაგჭირდა მრგვალი ხუფი ფაიფურის ან მინის ქილისათვის. ნუ დაღონდები, ამის გაკეთება თვითონ შეგიძლია. აიღე ფირფიცარი და მისგან გამოსჭერი ორი სხვადასხვა დიამეტრის მქონე წრე—ერთი — მინის ქილის ყელის შიგნითა დიამეტრის ტოლი, მეორე — გარეთას ტოლი და ერთმანეთზე დააკარი (დახედე ნახატს).

დაგეჭმუჭნა ფოტოფირი, გინდა მისი გასწორება. როგორ უნდა მოიქცე? დაახვიე ფირი ემულსიით გარეთ, შემდეგ შეახვიე ქაღალდში და ამ მდგომარეობაში დასტოვე რამდენიმე საათს, როცა გახსნი, ფირი გასწორებული იქნება.

გახსოვდეს, ფოტოგადაღებისას უმჯობესია დიაფრაგმა დიდზე გახსნა და უფრო მეტი შუქი მისცე ფირს, ვიდრე ცოტაზე გახსნა და შუქიც ნაკლები მისცე. ეს იმიტომ, რომ ათჯერ უფრო მეტად შუქმიცემული ფირი უკეთეს ფოტონაბეჭდს იძლევა.

# სარჩევი


ა. გეწაძე — ასე ამბობს საქართველო (ლექსი) გარეკ. . . . . 2

თ. შავიშვილი — როცა მზე ამოდიოდა (მოგონება) . . . . . . 1

ს. კლდიაშვილი — დაუვიწყარი ზაფხული (მოგონება) . . . . 4

ე. შარი — დაჭერობანა (მოთხრობა, თარგმნეს დ. შენგელიამ და გ. მეტრეველმა) . . . . . . 6

თ. ცაგარელი — ბებია და შვილიშვილები (ნარკვევი) . . . . 7

ნ. კეცხოველი — ცხრათვალა მზის ქვეშ (მოთხრობა) . . . . . . 11

კ. გოგიაშვილი — სადაც უნდა იყოს (ლექსი) . . . . . . . 17

ო. შალამბერიძე — ჩვენდა საბედნიეროდ (ლექსი) . . . . . 17

ე. მაჭავარიანი — ოპერის ბიოგრაფია (წერილი) . . . . . . 18

რ. კახიძე, თ. კიკნაძე — იდუმალი ორეული (ფანტასტიკური მოთხრობა, დასასრული) . . . . . 21

ნ. ქარუმიძე — ზარზმა (წერილი) 27

ვიდრე ცხოვრების დიდ გზაზე გახვიდოდე . . 28

მ. კუხალეიშვილი—თაფლის სასწაულებრივი ძალა (წერილი) . 28

ბუნების კარი . . . . . . 29

ახალი წიგნები . . . . 31

გამოგადგება . . . . . . 32

თავშესაქცევი . . გარეკ. 3


გარეკანის პირველი გვერდის მხატვრობა ეკუთვნის ედუარდ ამბოკაძეს.


მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია.

სარედაქციო კოლეგია: ფილიპე ბერიძე, ზოთა გაბელაია, ნოდარ გურაბანიძე, ჯუანშერ კვარაცხელია, სერგო კლდიაშვილი, მურმან ლებანიძე, ზურაბ ლეშკაშელი (პ/მგ. მდივანი), მარიჯანი, თენგიზ სამსონაძე, გაიოზ ფოცხიშვილი (სამხატვრო რედ.).



ჩვენი მისამართი: თბილისი, პლეხანოვის 91

ტელეფონები: რედაქტორის—5-17-76

პ/მგ. მდივნისა და განყოფილებების—5-07-43



„ПИОНЕРИ". На грузинском языке. Адрес редакции: Тбилиси, пр. Плеханова, 91.

გამომცემლობა «ნაკადული». უე 04817 ტირ. 67.700. ბიბ. ფორ. რაოდ. $4^1/_2$, ფიზ. ფორ. რაოდ. 2.

ხელმ.-წერ. დასაბ. 3/II-67 წ. სტამბის შეკვ. 4484. გამომც. შეკვ. 972. საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა № 1

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ფასი 20 კაპიკი


თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეგზავნებათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კროსვორდი

# ? თავშესაქცევი



**ვერტიკალურად:** 1. სახელმწიფო აღმოსავლეთში; 2. ქიმიური ელემენტი; 3. დილა, ანუ... 4. კერძი; 5. აზიის ნახევარკუნძული; 6. მეცნიერების ერთ-ერთი დარგი; 8. ნელი ქარი; 9. „დაისის" პერსონაჟი; 10. კუნძული ხმელთაშუა ზღვაში; 11. სუბტროპიკული მცენარე; 13. კურორტი ამიერკავკასიაში; 15. ქართული სპორტული თამაში; 18. ერთუჯრედიანი ცხოველი; 19. ქართული ჟურნალი; 20. საოჯახო ჭურჭელი; 21. ს. ცვაიგის მოთხრობა; 23. ქალაქი რუსეთში; 25. მათემატიკის ნაწილი; 27. ტროპიკული მცენარე, 32. ყვავილი; 33. მუსიკალური ბგერის აღმნიშვნელი ნოტი; 35. ცნობილი ქართველი მწერალი; 39. კავშირგაბმულობის ერთ-ერთი სახე; 43. ვულკანის ყელი; 45. მუსიკალური საკრავი; 46. ინდური კინოფილმი; 47. ღრმა და ვიწრო ორმო, რომელშიც გროვდება მიწისქვეშა წყალი; 51. მუსიკალური ბგერის აღმნიშვნელი ნოტი; 52. სახელმწიფო აღმოსავლეთში; 54. ცნობილი ფილოსოფოსი; 55. წარჩინებული პირის თანმხლები ჯგუფი; 58. ი. ჭავჭავაძის ლექსი; 60. ცნობილი აზერბაიჯანელი პოეტი; 63. ქართული კინოფილმი; 67. კურორტი ბორჯომის ხეობაში; 68. ქსოვილი; 69. თევზის ჯიში; 70. ცნობილი დიდოსტატი ჭადრაკში; 71. სპორტის ერთ-ერთი სახეობა; 73. ბერძნული ანბანის ერთ-ერთი ასო; 74. ძვირფასი ხის ჯიში; 75. მუსიკალური ბგერის აღმნიშვნელი ნოტი; 76. მუსიკალური საკრავი.

**ჰორიზონტალურად:** 7. „დაისის" პერსონაჟი; 12. ქალაქი იაპონიაში; 13. ცნობილი ისტორიული ადგილი საქართველოში: 14. სრუტე ევროპაში; 16. რაიონული ცენტრი საქართველოში; 17. ნერვულ-ფსიქიკური დაავადება; 22. „დაისის" პერსონაჟი; 24. ბიზეს ოპერა; 26. ოპერეტა „სილვას" ავტორი; 27. ქიმიური ელემენტი; 28. ციფრი; 29. ტკბილი სასმელი; 30. სოფელი შავი ზღვის პირას; 31. ჭადრაკის ფიგურა; 33. ქართული ხალხური თამაში; 34. კურორტი ყირიმის ნახევარკუნძულზე; 36. მდინარე რუსეთში; 37. ფუტკრის ბინა; 38. სახის გამანიავებელი; 40. რაიონული ცენტრი საქართველოში; 41. მთავარი არტერია; 42. ქართული ხალხური ზღაპრის „ამირანის" პერსონაჟი; 44. ცნობილი ფიზიკოსი; 46. საქართველოს ერთ-ერთი კუთხე; 48. სივრცე, ანუ... 49. სოფელი წალენჯიხის რაიონში; 50. სახელმწიფო აღმოსავლეთში; 53. კალმანის ოპერეტა; 56. გარეული ცხოველი; 57. საჯარიმო დარტყმა ფეხბურთში; 59. ქიმიური ელემენტი; 61. ხილი; 62. ცხენის ჯოგი; 64. მიწის ფართობის საზომი ერთეული; 65. რისამე შესწავლა მისი ნაწილებად დაყოფის გზით; 66. დიდი ქართველი მწერლის სახელი; 72. სხეულის თვისება — შეინარჩუნოს თავისი უძრაობა ან სწორხაზოვანი მოძრაობა, სანამ გარეშე ძალა არ გამოიყვანს ამ მდგომარეობიდან; 76. მატერიკი; 77. მდინარე საქართველოში; 78. ქართველი მწერალი; 79. კურორტი შავი ზღვის სანაპიროზე; 80. თბილისის ერთ-ერთი უბანი.

შეადგინა თბილისის 46-ე საშ. სკ. IX კლ. მოსწ.
**გია ჩიტრეკაშვილმა.**

## პასუხი მე-12 ნომერში მოთავსებულ თავშესაქცევზე

### ფეხბურთი

მუსტიგინი; დენისენკო; კოტრიკაძე; ოსტროვსკი; კუზნეცოვი; მელაშვილი; მალოფეევი; ხუციშვილი; შუსტიკოვი.

ამ გვარების ვერტიკალურ მწკრივებში სწორად ჩაწერის შემთხვევაში დიაგონალზე წაიკითხება — მეტრეველი.

### მსოფლიო რუკასთან



წრეზე: ავსტრალია; ასახიგავა; ანაკანგუა; არგენტინა; ადის-აბება; აშტაბიულა.

წრეში: ამუდარია; ალიასკა: ამერიკა; ასინჯრა; ალმა-ატა; ასტორია; ალაბამა; არეკიპა; ასპინძა; ალტალია; ამგუემა; აფსტრია.



### თავსატეხი

წრის მოპირდაპირე სექტორებში რიცხვები იწერება ისე, როგორც ეს ნახაზზეა ნაჩვენები.



ИНДЕКС 76157

ეროვნული ბიბლიოთეკა

## იცნობ თუ არა შენს მშობლიურ მხარეს?

ბავშვებო, დახედეთ
ამ ობელისკს და
გვიპასუხეთ შემდეგ
კითხვებზე:

1. სად არის იგი აღმართული.
2. როდის ააგეს.
3. რომელი ისტორიული მოვლენის უკვდავსაყოფად არის აღმართული ეს ობელისკი.

ფოტო
დავით
იაკობაშვილისა.